გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

№31 (1573) 1 - 7 სექტემბერი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

გურამ მაჭარაშვილი: „მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა „ოცნების" პოზიციას იზიარებს!"

საქართველოში კოვიდპაციენტების სიცოცხლის გადასარჩენად საჭირო მედიკამენტების დეფიციტია!

„თუ მოსახლეობის 75% აიცრება, რადიკალურად სხვა ვითარება გვექნება" – ვახტანგ კალოიანის შეფასებები და პროგნოზები

მეცნიერმა ძმამ ძმის სახლი დაასაჩაღა

„ძმისშვილი აბაზანაში ჩავკეტე, თანამშრომელმა კი ჩემი ძმა გათიშა"

კალაძე, მელია და გახარია – ვის რა შანსი აქვს 2 ოქტომბერს

ემზადება თუ არა ოპოზიცია არჩევნების შემდეგ არეულობისთვის

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

პოლიციამ ოჯახის არასრულწლოვანი წევრის მიმართ ჩადენილი ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული ვ.ჩ., წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 2-დან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 26 აგვისტოს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით, ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება მიაყენა თავის დის არასრულწლოვან შვილს, 2003 წელს დაბადებულ ნ.ფ.-ს. პოლიციამ ვ.ჩ. ცხელ კვალზე დააკავა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 120-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიერ წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.

პოლიციამ რუსთავში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1997 წელს დაბადებული დ.ჯ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალაქ რუსთავში, საყოფაცხოვრებო თემაზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკების შემდეგ, თავის მეზობელს, 1942 წელს დაბადებულ ა.პ.-ს, მისსავე საცხოვრებელ ბინაში, ბლაგვი საგნის გამოყენებით, თავის არეში სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა. მიღებული დაზიანებების შედეგად, ა.პ. ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან მალევე ცხელ კვალზე, რუსთავში დააკავეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

სამეგრელოს პოლიციამ ჩხოროწყუში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული რ.კ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა რ.კ.-მ, მიმდინარე წლის 23 აგვისტოს, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1993 წელს დაბადებულ მ. მ.-სა და მის ძმას, 1996 წელს დაბადებულ ა.მ.-ს ცივი იარაღით სხეულზე დაზიანებები მიაყენა.

დაჭრილი პირები საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ა.მ. მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა.

პოლიციამ რ.კ. მომხდარიდან მალევე დააკავა.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით ამბროლაურში ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ამბროლაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2001 წელს დაბადებული ბ.მ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 21 აგვისტოს, ამბროლაურში, კოსტავას ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1999 წელს დაბადებული კ.ქ. ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბ.მ. ბრალდებულის სახით დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში, მომხდარიდან მალევე, პოლიციამ წარსულში ნასამართლევი ორი პირი – 1989 წელს დაბადებული გ.მ. და 1977 წელს დაბადებული ვ.ტ. დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავა.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 376-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში კრიზისული სიტუაციების მართვის სასწავლო კურსის დახურვის ცერემონია ჩატარდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი რგოლის მენეჯერებისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL), რეგიონული უსაფრთხოების სამსახურისა (RSO) და გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) ატაშეს ოფისის ერთობლივი ორგანიზებით, კრიზისული სიტუაციების მართვის საკითხებზე სასწავლო კურსი ჩატარდა.

სასწავლო კურსის დახურვის ღონისძიებას აშშ-ის ელჩი საქართველოში კელი დეგნანი, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე - შალვა ბედოიძე და მინისტრის მოადგილეები: ალექსანდრე დარახველიძე და გიორგი ბუთხუზი დაესწრნენ. მათ ტრენინგის მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს.

აშშ-ის ელჩმა კრიზისული სიტუაციის მართვისა და ინციდენტებზე რეაგირების კუთხით სამართალდამცველთა გადამზადებისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

სასწავლო კურსის მონაწილეებმა განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: კრიზისის მართვისა და სამეთაურო შტაბის პრინციპები; კრიზისის ხელმძღვანელობა; უწყებათშორისი თანამშრომლობა კრიზისულ სიტუაციებში, ისტორიული და პრაქტიკული მაგალითები და სხვ.

ტრენინგს გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) მოწვეული ტრენერები - ჯეიმს ნიუტონი და ოთომ ბრაუნი უძღვებოდნენ.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ - ალექსანდრე დარახველიძემ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს მადლობა გადაუხადა წლების განმავლობაში ამერიკის მიერ სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში შეტანილი წვლილისა და მჭიდრო თანამშრომლობისთვის.

კალაძე, მელია და გახარია – ვის რა შანსი აქვს 2 ოქტომბერს

ემზადება თუ არა ოპოზიცია არჩევნების შემდეგ არეულობისთვის

ნინო დოლიძე

ზუსტად ერთ თვეში ადგილობრივი არჩევნებია, არჩევნები, რომელსაც ოპოზიცია რეფერენდუმს უწოდებს და დარწმუნებულია, რომ 2 ოქტომბერს, მმართველი გუნდი იძულებული გახდება, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს. პოლიტიკაში მოულოდნელობები, სლენგით რომ ვთქვათ, მოსულა, თუმცა დღევანდელი მოცემულობით თუ ვიმსჯელებთ, ოპოზიცია მხოლოდ ბაქი-ბუქობს. ყოველ შემთხვევაში, საარჩევნო კამპანიას ისე დუნედ და მდორედ ატარებს, კაცი იფიქრებს, გამარჯვებისთვის კი არა, პოლიტიკური დაკრძალვისთვის ემზადებაო.

რატომ პასიურობს ოპოზიცია? – ამ კითხვაზე პასუხი, შესაძლოა, ერთმნიშვნელოვანი არ იყოს, თუმცა „ოცნებაში“ საინტერესო ვერსიას ანვითარებენ. კერძოდ, მმართველ გუნდში მიაჩნიათ, რომ ოპოზიცია არჩევნებისთვის კი არა, არამედ, არჩევნების მეორე დღისთის ანუ 3 ოქტომბრისთვის ემზადება, როცა ერთ ამბავს ატეხს, არჩევნები გამიყალბესო და ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებს.

გამოვა თუ არა ხალხი ქუჩაში, ეს კიდევ ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ „ოცნებაში“ მიაჩნიათ, რომ ოპოზიცია, არჩევნების გაყალბების საბაბით, არეულობის მოწყობას შეეცდება.

„ოპოზიცია, ფაქტობრივად, არ აწარმოებს საარჩევნო კამპანიას, არ საუბრობს რეგიონების მოსახლეობის საჭიროებებზე და არ აქვს რაიმე, პროგრამის მსგავსიც კი. ის მოსახლეობას არ სთავაზობს არაფერს, გარდა დეზინფორმაციისა და ზიზღის კამპანიისა. მეტიც, ოპოზიცია არ იყენებს გარე რეკლამისთვის განკუთვნილ სივრცეებს, რაც იმ მიზანს ემსახურება, არჩევნების შემდეგ მიზნობრივად ისაუბროს, რომ საარჩევნო კამპანია არათანაბარ სიტუაციაში მიმდინარეობდა. ოპოზიცია არ იყენებს ფასიან საარჩევნო დროს თავისი საარჩევნო სარეკლამო რგოლების გასაშვებად, იყენებს მხოლოდ საარჩევნო სუბიექტისთვის უფასო საეთერო დროს, რათა არჩევნებში მისი გარდაუვალი მარცხის შემდეგ ითქვას, რომ წინასაარჩევნოდ, არათანაბარი და არაკონკურენტული გარემო იყო შექმნილი...

ოპოზიციურმა პარტიებმა არ დააყენეს რეგიონებში ისეთი კანდიდატურები, რომლებსაც გამარჯვების მინიმალური შანსი მაინც ექნებოდათ, რათა არჩევნებში დამარცხების შემდეგ ისაუბრონ, თითქოს ადგილი ჰქონდა მანიპულაციას და მათი წარმომადგენლები ამიტომ დამარცხდნენ ყველა სოფელსა და ქალაქში. ამ პოლიტიკურმა ძალებმა მონაწილეობა არ მიიღეს საოლქო და საუბნო კომისიის წევრების დაკომპლექტებაში, რათა არჩევნებში დამარცხების შემდეგ ისაუბრონ, თითქოს პროფესიული კომისიის წევრები მიკერძოებულები იყვნენ. ყველა ეს გარემოება მიანიშნებს იმაზე, რომ ოპოზიცია შეგუებულია არჩევნებში გარდაუვალ მარცხს. არა 2 ოქტომბრისთვის, არამედ, არჩევნების მეორე დღისთვის და არეულობისთვის ემზადება...

დიდი ალბათობით, მოსახლეობა ოპოზიციის მხრიდან დეზინფორმაციის მსხვერპლი გახდება. ვინაიდან ამ ძალების მხრიდან ერთადერთი პოლიტიკური ტაქტიკა პანიკის დათესვაზე, ადამიანური ტრაგედიებით მანიპულაციასა და ამით პოლიტიკური დივიდენდების ჩაწერის მცდელობაზე გადის. ჩვენ უკვე ვხედავთ მათგან მძიმე პროვოკაციების მოწყობის მცდელობებს, რაც დიდი ალბათობით არჩევინებდნენ დარჩენილ ერთ თვეში კიდევ უფრო რადიკალურ ფორმებს მიიღებ. ვიანიდან მათი გზა საკუთარი პროგრამით ჩვენი მოქალაქეების დარწმუნებაა და მათგან დემოკრატიული ლეგიტიმაციის მიღება არამედ ზიზღის გაღვივებით , ისტერიის დათესვით და არეულობით განუყოფელი ძალაუფლების დაბრუნება. ეს არის ის ტაქტიკა, რომელსაც უკვე წლებია იყენებენ და ეს არის ის ტაქტიკა რომლითაც წლიდან-წლამდე მარცხდებიან“, – განაცხადა 31 აგვისტოს, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა სპიკერმა, საპარლამენტი უმრავლესობის წევრმა, შალვა პაპუაშვილმა.

ოპოზიციაში ამ ბრალდებას, რასაკვირველია, სერიოზულად არ პასუხობენ, თუმცა „ანტიოცნებელებს“ არც იმაზე აქვთ დამაჯერებელი და არგუმენტირებული პასუხი, თუ რატომ არ აწარმოებენ ინტენსიურ საარჩევნო კამპანიას.

ფაქტების ერთობლობა იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ოპოზიცია დამარცხებას შეგუებულია. ავიღოთ, მაგალითად, თბილისი, რომლის მოგებასაც ყველა დროსა და ყველა პოლიტიკური ძალისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ვინც თბილისს მართავს, ის მართავს ქვეყანასაც – დედაქალქის მერი რიგითი მეურნე კი არა, პოლიტიკური ფიგურაა, ფიგურა, რომელსაც კანონით არა, მაგრამ კულუარულად დიდი გავლენა აქვს.

შესაბამისად, ახლა იმაზე კი არ არის ლაპარაკი, რომელიმე დიდი მუნიციპალიტეტის მართვა „ოცნებას“ დარჩება თუ ოპოზიციის ხელში გადავა, არამედ, პოლიტიკური ბრძოლის მთავარი ხაზი დედაქალაქზე გადის, სადაც მთავარი კონკურენტები, რა თქმა უნდა, მოქმედი მერი, კახა კალაძე და ენმ-ს თავმჯდომარე, ნიკა მელია არიან.

იმას, ყოფილი პრემიერი, გიორგი გახარია მერობისთვის ბრძოლაში ჩაებმება თუ არა, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მისმა პარტიამ ამ პოსტზე სხვისი კანდიდატურაც რომ დაასახელოს, პოლიტიკური პროცესები მაინც საინტერესო ჭრილში გადავა და აი, რატომ:

კახა კალაძე, ვინმეს ესიამოვნება თუ არა, წარმატებული მერია. გასაგებია, რომ ოპოზიცია ცდილობს, მას ათასი ბრალდება წაუყენოს, მაგრამ ნათქვამია, ენას ძვალი არ აქვსო. შესაბამისად, რაც მოუნდებათ, იმას დააბრალებენ, მაგრამ ერთია დაბრალება და მეორე – ფაქტი. ფაქტი კი ის არის, რომ ბოლო წლებში, თბილისში ბევრი კარგი საქმე გაკეთდა.

ამას გარდა, კალაძე ის პოლიტიკური ფიგურაა, რომელიც სიმართლის პირში თქმას არასოდეს გაურბის და იგივე ოპოზიციას იმ ენით ელაპარაკება, როგორი ენითაც თავად ოპოზიციონერები საუბრობენ.

სხვათა შორის, თავის დროზე, კალაძემ სოციალურ ქსელში ერთგვარი გადაცემა შექმნა – „სიმართლის მუშტი“, რომლის მოხვედრაც ბევრს არ ესიამოვნა.

რაც შეეხება ენმ-ს თავმჯდომარე ნიკა მელიას, აქაც სიმართლე უნდა ითქვას: მას ვერავინ წამოაძახებს, რომ სისხლიანი 9 წლის დროს, „ნაციონალებს“ უკრავდა ტაშს – მელია 2012 წლის მერე განაციონალდა და იგივე ახალგაზრდებშიც არაერთი მიმდევარი ჰყავს, მაგრამ მელია, ასეა თუ ისე, დამარცხებული ლიდერია – 2020 წელს, გლდანის არჩევნები, გაყალბებით თუ გაყალბების გარეშე, წააგო. ადამიანებს კი, თუნდაც ისინი კონკრეტული პარტიის ფანები იყვნენ, დამარცხებული ლიდერები არ უყვართ.

მელიასთან დაკავშირებით, კიდევ ერთი დეტალიც არსებობს – მიხეილ სააკაშვილი ანუ მართალია, ექსპრეზიდენტი არც საქართველოშია და აღარც პარტიას ხელმძღვანელობს, მაგრამ ყველამ იცის, რომ ენმ მის გარეშე წარმოუდგენელია. მელიას კი, როგორც კულუარებში ამბობენ, ამბიცია აქვს, რომ ყოფილ მმართველ პარტიაში, „პალაჟენია“ თვითონ „დააყენოს“, რაც ძველი თაობის „ნაცებისთვის“ ყოვლად მიუღებელია.

და აი, ამ ვითარებაში ჩნდება ოპოზიციურ ბაზარზე ყოფილი პრემიერი, გიორგი გახარია, რომლის მიმართაც, თავის დროზე, სიმპატიები მხოლოდ „ოცნების“ წევრებს კი არა, ე.წ. შუაშისტებსაც ჰქონდათ.

ანალიტიკოსთა ნაწილი ამბობს, რომ გახარიას ძირითადი ამომრჩეველი დღესაც ე.წ. შუაშისტები არიან.

მოკლედ, ასეთია წინასაარჩევნო პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში, სადაც უმძიმესი პანდემიური ვითარებაა და სადაც მხოლოდ ერთ თვეში – აგვისტოში, ინფექციით ათასზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა.

ახლა, წესითა და რიგით, მთელი პოლიტიკური ელიტა ამ თემაზე უნდა ფიქრობდეს, მაგრამ საქართველო რისი საქართველო იქნება, რომ უსაგნო თემებზე არ ვჭამოთ ერთმანეთი!

ჰო, ეს ჩვენი საქართველოა!

ჰო, ჩვენ სხვა არც სამშობლო გვაქვს და არც – სახელმწიფო!

ჰო, კარგი, ძლიერი და დემოკრატიული სახელმწიფო ჩვენ, ყველამ ერთად უნდა ავაშენოთ და ამ შენებაში, მნიშვნელობა არ აქვს, ვინ „ქოცია“, ვინ – „ნაცი“ და ვინ – „შუაშისტი“!

გურამ მაჭარაშვილი: „მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა „ოცნების“ პოზიციას იზიარებს!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ქვეყანაში საარჩევნო კამპანია მდორედ მიმდინარეობს. ყოველ შემთხვევაში, ოპოზიცია აშკარად არ აქტიურობს, რასაც ვერ ვიტყვით მმართველ პარტიაზე, რომელიც გამარჯვებაში დარწმუნებულია. სწორედ ამ თემებზე ესაუბრა „ვერსია“ უმრავლესობის წევრს, დეპუტატ გურამ მაჭარაშვილს.

„ოპოზიციის რეალური სურვილი ე.წ. ვადამდელი არჩევნები კი არა, არეულობა და დესტრუქციაა“

– ბატონო გურამ, კვლევების მიხედვით, რა პროგნოზი გაქვთ, არჩევნებზე როგორ შედეგს მიიღებთ?

– საზოგადოებასთან ინტენსიური ურთიერთობიდან გამომდინარე გვაქვს განცდა, რომ აბსოლუტური უმრავლესობა „ქართული ოცნების“ პოზიციას იზიარებს. რა თქმა უნდა, არსებობს გამოწვევები, ჩვენ მიმართ კითხვებიც არის და ამას არ გავურბივართ, მაგრამ საზოგადოება ხედავს, რომ კონკრეტულ პრობლემაზე ადეკვატური რეაქცია გვაქვს და ორიენტირებულნი ამ გამოწვევების გამოსწორებაზე ვართ. ეს თვითმმართველობის არჩევნებია და ჩვენს კანდიდატებს ყველა მუნიციპალიტეტში კონკრეტული შეთავაზებები აქვთ. შესაბამისად, მოსახლეობა ხედავს, რომ მუნიციპალიტეტებში „ქართულ ოცნებას“ აქვს ხედვა.

სამაგიეროდ, საზოგადოება ამ მიმართულებით ოპოზიციის აქტიურობას, სამწუხაროდ, ვერ ამჩნევს და ბუნებრივია, აქედან გამომდინარეა მისი რეიტინგი ისეთი, როგორიც არის. ასე რომ, გვაქვს მოლოდინი – დამაჯერებელი გამარჯვება ექნება „ქართულ ოცნებას“.

– ოპოზიციის პასიურობას რით ხსნით?

– რესურსი არ აქვს. როგორ წარმოგიდგენიათ, 63 მუნიციპალიტეტში უნდა გყავდეს პარტიული აქტივი, რომელსაც ნამუშევარი აქვს, მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის პრობლემებზე. ოპოზიცია რომ ხარ, უნდა თქვა, „ქართული ოცნება“ რომ აკეთებს ამა თუ იმ ინფრასტრუქტურულ პროექტს, ამის გაკეთება უკეთესად შეიძლებოდაო. ამას სჭირდება მუშაობა, კადრების მობილიზება, მაგრამ ოპოზიციის დღის წესრიგი, სამწუხაროდ, ვერ გასცდა რადიკალიზმს, ბნელი მომავლის დაანონსებას და უბედურებებს. ჩვენ გვინდა, გვყავდეს ჯანსაღი ოპოზიცია, ეს ქვეყნისთვისაა კარგი და საზოგადოება, ბოლოსდაბოლოს, ყველა პოლიტიკურ პარტიას გადაიყვანს ოპოზიციაში, მაგრამ ეს მოხდება იმ შემთხვევაში, როცა უკეთესს დაინახავს, ახლა კი არათუ უკეთესს, არამედ, საერთოდ ვერაფერს ხედავს.

– ბატონო გურამ, რადგან რესურსზე ისაუბრეთ, შეგახსენებთ, ოპოზიცია მუდამ ამბობს, რომ მმართველი ძალა სახელისუფლებო რესურსს იყენებს და ამის გამო, არათანაბარ პოზიციაში არიან...

– სახელისუფლებო რესურსის გამოყენება რას ნიშნავს? – დღეს გეგულებათ რომელიმე საჯარო მოხელე, რომელსაც, მაგალითად, ვინმემ დაურეკა, ზეწოლა განახორციელა და იმან ვერ გაბედა, ვერ მივიდა რომელიმე ტელევიზიაში და ვერ თქვა? ასეთი რამ ხომ გამორიცხულია! აბსურდებს და ტყუილებს ამბობენ. სახელისუფლებო რესურსი ისაა, რომ რასაც ვაკეთებთ, ამას ვეუბნებით ადამიანებს და ვეკითხებით, თუ რა უნდათ მომავალში. საჯარო მოხელეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას, ვერ ვიტყვი, რომ მათი 100% „ქართულ ოცნებას“ აძლევს ხმას, რაც ბუნებრივიცაა, რადგან ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან. სკოლაში რომ მუშაობს პედაგოგი, ხომ იცის, რა მდგომარეობა იყო 2012 წლამდე, თუნდაც მისი ხელფასი, სკოლების აშენება და რემონტი, ბავშვების მიმართ დამოკიდებულება... რად უნდა ვინმეს თქმა? ის თავად ხედავს, რომ ახლა უკეთესადაა ყველაფერი.

– ბატონო გურამ, ქვეყანაში უმძიმესი პანდემიური ვითარებაა – ყოველდღე, 70-ზე მეტი ადამიანი იღუპება და ცოტა ხნის წინ, სახალხო დამცველმა არჩევნების გადადების საკითხი დააყენა. მმართველი ძალა ამ საკითხს კატეგორიული უარით რატომ შეხვდა?

– აქაც იგრძნობა ოპოზიციის ხელმოცარულობა, არასწორი პროგნოზი და გამოწვევის მიმართ არაადეკვატური დამოკიდებულება. პანდემია მსოფლიოში მძვინვარებს და საქართველო გამონაკლისი ვერ იქნება. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ვაქცინაციის ტემპი გაიზარდოს, ხალხმა რეგულაციები დაიცვას და შემცირდეს კოვიდგავრცელება და სიკვდილიანობა, მაგრამ სამუშაო იყო საჭირო საზოგადოებასთან და დღესაც არის, სამწუხაროდ. თუნდაც ორი თვით ადრე რომ დაწყებულიყო ასეთი ტემპით ვაქცინაცია, დარწმუნებული ვარ, დღეს ეს ვითარება არ გვექნებოდა – უკვე 2 მილიონზე მეტი ვიქნებოდით აცრილი, მაგრამ დღეს ასეთი მოცემულობა გვაქვს.

არჩევნების გადადება იმის გამო უნდათ, რომ ხელმოცარულები არიან პოლიტიკაში და კოვიდს მიმართავენ დასახმარებლად, ეს კიდევ ადასტურებს მათი რესურსის არქონას. იმდენად მოუმზადებლები არიან 2 ოქტომბრისთვის, რომ კოვიდს მიმართეს დასახმარებლად, თორემ გვახსოვს იგივე ოპოზიცია, როგორ მოუწოდებდა რამდენიმე თვის წინ ადამიანებს, პანდემიის მიიხედავად, მაინც გამოდით ქუჩაში აქციაზეო, სადაც რეგულაციების დაცვა მინიმალურია. იმიტომაც გაიყო აზრი ოპოზიციაში არჩევნების გადადების საკითხზე და მალევე დამთავრდა ეს თემა, რადგან აბსოლუტურად პოპულისტური იყო.

– მოკლედ, არჩევნების გადადების საკითხი მმართველმა ძალამ დღის წესრიგიდან 100%-ით მოხსნა, არა?

– რა თქმა უნდა, არჩევნები ყველა ქვეყანაში ტარდება. ცესკო-ს აქვს უკვე გამოცდილება და ყველა მოქალაქისთვის იქნება უსაფრთხო. ჯერ ერთი, ექსპერტების თქმით, ერთი თვის მერე გაცილებით კარგი სიტუაცია იქნება, რადგან 2 მილიონზე ავა აცრილთა რაოდენობა და გაცილებით შეაჩერებს კოვიდგავრცელების მასშტაბებს. ამიტომ ვვარაუდობთ, რომ კოვიდუსაფრთხოების კუთხით, არჩევნებისთვის სხვანაირი სურათი იქნება.

– ისე, ბატონო გურამ, ოპოზიცა პანდემიის არასწორ მართვაში გადანაშაულებთ...

– ოქროს შუალედი გვაქვს დასაცავი. ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებაა, აიცრება თუ არა, მაგრამ მეორე მხრივ, ასევე, ეს უფლებაც შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება საზოგადოების დიდ რაოდენობას და ამ შემთხვევაში, ვიცით, რომ ასეა. საუბარი ძალდატანებით აცრაზე კი არა, იმაზეა, რომ საზოგადოებას გაეცნობიერებინა – აცრა მის ჯანმრთელობას არ ვნებს, ან ის, რომ შეიძლება, თავად იოლად გადაიტანოს, მაგრამ მისგან გადაედება ისეთ ადამიანს, რომელიც ამ ვირუსს ვერ გადაიტანს. ეს რისკი რომ გაცნობიერებული გვქონოდა, ვაქცინაცია ისეთი ტემპით წავიდოდა, როგორც დღესაა და ახლა უკვე 2 მილიონზე მეტი იქნებოდა აცრილი.

– ბატონო გურამ, თქვენი კვლევებით, „ქართული ოცნება“ არჩევნებში რამდენ პროცენტს აიღებს?

– 46%-ის ფარგლებში, ალბათ, 2-3%-ის ცდომილებით.

– ყოველ შემთხვევაში, 43%-იანი ბარიერი გადასალახი აღარ გაქვთ?

– ეგ არც თავის დროზე იყო სწორი, უბრალოდ, მაშინ პოლიტიკური სიტუაცია გახლდათ ისეთი, გაჯიუტებული ოპოზიციისთვის აუცილებელი იყო, რათა გონს მოსულიყო და ჩვენი პარტნიორების კონსულტაციებიც გავითვალისწინეთ.

– ოპოზიციას აქვს იმედი, რომ ვადამდელი არჩევნები დაინიშნება. ამაზე რას ფიქრობთ?

– იგივე, ხავსსმოკიდების პრინციპი აქვს ოპოზიციას, როგორც არჩევნების გადადება კოვიდის გამო, როგორც გვაბრალებენ, რომ სახელისუფლებო რესურსი გვაქვს... ყველაფერს ამბობენ და აკეთებენ გარდა იმისა, რომ ხალხზე იმუშაონ იმიტომ, რომ გადაწყვეტილებას ხალხი იღებს არჩევნებზე. ყოველთვის ვამბობ, რომ ამ არჩევნებზე იგივე საზოგადოება მოდის, რაც მოვა ვადამდელ არჩევნებზე და თუ დღეს ოპოზიციურ პარტიებს არ აძლევენ ხმას, რატომ მისცემენ ვადამდელ არჩევნებზე? ამიტომაა, რომ ოპოზიციის რეალური სურვილი ე.წ. ვადამდელი არჩევნები კი არა, არეულობა, დესტრუქცია და პროცესების ამ სცენარით წარმართვაა!

საქართველოში კოვიდპაციენტების სიცოცხლის გადასარჩენად საჭირო მედიკამენტების დეფიციტია!

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„თუ მოსახლეობის 75% აიცრება, რადიკალურად სხვა ვითარება გვექნება“ – ვახტანგ კალოიანის შეფასებები და პროგნოზები

აგვისტოში, საქართველოში კოვიდინფექციით გარდაცვლილთა რიცხვმა ათასს გადააჭარბა. თითოეული გარდაცვლილის უკან, ძალიან მძიმე ადამიანური ტრაგედიაა... გადატვირთულია სამედიცინო სექტორიც და საწოლფონდის დეფიციტია, სწორედ ამის გამო, საველე ჰოსპიტალები გაიხსნა. უკიდურესად მძიმე პანდემიურ ფონზე, „ვერსია“ ექიმ-რეანიმატოლოგ ვახტანგ კალოიანს ესაუბრა:

– ბატონო ვახო, ყოველდღიურად, გარდაცვალების ასეთი მაღალი მაჩვენებლის მიზეზი რა არის?

– ეს რეგულაციების სრულად მოშლის შედეგია.

– ანუ?

– ჯარიმები, ნიღბის ტარება, საზოგადოებრივ ტრანსპორტში კონტროლი – აი, ეს მინიმალური შეზღუდვები, რაც სწორად მართვის შემთხვევაში, შეიძლება, ეფექტური ყოფილიყო, ხელისუფლებამ, უბრალოდ, გააუქმა. ამან კი ინფიცირებულთა რაოდენობის ზრდა გამოიწვია.

გარდა ამისა, კლინიკებში, ტექნიკური მედიკამენტების ძალიან მძიმე დეფიციტია, რაც პაციენტების გაზრდილ რაოდენობას არ ჰყოფნის.

– კერძოდ?

– არის სუნთქვის აპარატების, სიცოცხლის გადამრჩენი მედიკამენტების დეფიციტი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე, კლინიკური პროცესის სტანდარტიზაცია არაა, რაც ჯანდაცვის სამინისტროსა და კლინიკური ჯგუფის პასუხისმგებლობაა. არადა, ამ ხნის განმავლობაში, ყველაფერ ამის მოგვარება შეიძლებოდა.

სხვათა შორის, სამედიცინო პერსონალი გამოფიტულია, როგორც საექიმო, ასევე, საექთნო. რაოდენობის პრობლემაცაა, მაგრამ ვინც მუშაობენ, ისინიც კი ძალიან მძიმედ არიან.

– რატომ?

– დაღლილები არიან – უზარმაზარი მორალური და ფიზიკური დატვირთვა აქვთ, დღეების გადაბმა უწევთ და ძალიან მძიმე ვითარებაა, რაც ყველაფერს თავის დაღს ასვამს.

გარდაცვლილთა რაოდენობის ზრდის კიდევ ერთი მიზეზი პაციენტების ნაკადის ცუდი გადანაწილებაა. სამწუხაროდ, მძიმე პაციენტების დიდ ჰოსპიტალებში კონცენტრირება ვერ მოვახერხეთ და შესაბამისად, ეს ტრაგიკული შედეგიც მივიღეთ.

– ბატონო ვახო, კონკრეტულად, რომელი მედიკამენტების დეფიციტზე საუბრობთ?

– საუბარია „ტოცილიზობამზე“. ასევე, ანტიბიოტიკებზე, რომლებიც პირდაპირ ანტივირუსული არაა, მაგრამ ზოგ პაციენტს, გარკვეული მიზეზის გამო, ბაქტერიული ინფექცია უვითარდება და მისი უზრუნველყოფა ახალი ანტიბიოტიკებით, სამწუხაროდ, ვერ ხდება. არის ანტიბიოტიკები, რომლებიც არ იშოვება და ძირითადად, დეფიციტშია.

– ამ მედიკამენტზე დეფიციტი მსოფლიოშია, თუ მხოლოდ საქართველოში?

– საქართველოში განსაკუთრებული დეფიციტი იმიტომაა, რომ თავის დროზე, საჭირო რაოდენობა არ იქნა გათვლილი და ბაზარზე დაძაბული ვითარება შეიქმნა. დაახლოებით, იგივე შეცდომა მოუვიდათ, რაც ვაქცინებზე – როცა შანსი იყო, რომ ვაქცინები გვეშოვა, არ ვიზრუნეთ და მერე, დეფიციტი უკვე მთელ მსოფლიოში იყო. შესაბამისად, სანამ რაოდენობა არ გამოთავისუფლდა, ვაქცინა მანამდე ვერ მივიღეთ და ვაქცინაციის პროცესიც ამიტომ დაგვიანდა.

ზუსტად იგივე მოხდა ანტიბიოტიკებზეც – რამდენიმე თვის წინ, პროფესიულმა ასოციაციებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა და ყველამ, ვისაც კი შეგვეძლო, რამე ინფორმაცია მიგვეწოდებინა ხელისუფლებისთვის, მოვუწოდებდით და ვაფრთხილებდით ამ მედიკამენტების დეფიციტის შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ყურად არ იღო.

აცრების ტექნიკური უზრუნველყოფაც სერიოზული პრობლემაა. ჯერ კიდევ სამი თვის წინ ვამბობდით, რომ რეგიონებსა და დიდ ქალაქებშიც მობილური ჯგუფები იყო აუცილებელი, რათა უფრო გამარტივებულიყო მოქალაქეების აცრა, მაგრამ აცრის მობილური ჯგუფების შექმნა, სამწუხაროდ, მხოლოდ წინა კვირას დაიწყეს, თან არასრული დატვირთვით. ყველაფერი ეს, საბოლოო ჯამში, იმ ტრაგიკულ შედეგს, რაც გვაქვს, იწვევს.

– ამირან გამყრელიძემ განაცხადა, რომ თუ სექტემბერში ვაქცინირებულთა რაოდენობა მილიონს გადააჭარბებს, პანდემიას „წელში გადავტეხავთ“. ქვეყანაში ვაქცინების დეფიციტი არაა და თუ ამ ტემპით გაგრძელდა მოსახლეობის აცრა, გამყრელიძის პროგნოზი გამართლდება?

– რა თქმა უნდა. თუ მოსახლეობის 75%-ს მივაღწევთ (80% იდეალური იქნება), რადიკალურად სხვა ვითარება გვექნება და ისაა ჩვენი ტკივილი, რომ ამდენი თვე დავკარგეთ.

დროულად, მარტში რომ მოგვეპოვებინა ვაქცინა, ახლა უკვე ისე ვიქნებოდით, როგორც, მაგალითად, დანიაა, რომელმაც ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კოვიდონფექცია არ არის სოციალურად კრიტიკული გამოწვევა.

რა თქმა უნდა, გარდაცვალების ერთეული შემთხვევები იქნებოდა, მაგრამ ასეულობით ადამიანის სიცოცხლეს გადავარჩენდით. ისაა ყველაზე გულსატკენი, რომ ამ პანდემიის მართვის ცოდნა არსებობს, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით მისი გამოყენება.

– როგორ ფიქრობთ, ვაქცინაცია სავალდებულო უნდა გახდეს?

– ევროპული საქართველოს პოზიცია ცალსახაა – პედაგოგებისთვის, ვაჭრობაში, ტრანსპორტში მომუშავე პირებისთვის, საჯარო მოხელეებისთვის და ა.შ. უნდა იყოს სავალდებულო ან ვაქცინაცია, ან – ტესტირება.

გაუგებარია მათი არგუმენტაცია, მაგრამ ვისაც არ აქვს სურვილი, საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე აიცრას, ტესტის აღება ვაქცინაციის ალტერნატივაა. მოქალაქე, რომელსაც არ უნდა აცრა, უნდა იყოს ტესტირებული, რათა ვიცოდეთ, რომ საზოგადოებისთვის უსაფრთხოა.

– არსებულ მძიმე ეპიდფონზე, სწავლის დაწყებისა და არჩევნების თარიღები მოახლოვდა. როგორ ფიქრობთ, ხომ არ უნდა გადავადდეს?

– სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი ყველაზე ბოლოს უნდა დაიკეტოს და ყველაზე ადრე გაიხსნას, თუმცა დღევანდელი ეპიდვითარებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქნება, რა ტენდენცია გვექნება სწავლის დაწყების პერიოდში და გადაწყვეტილება ამის მიხედვით უნდა იქნას მიღებული.

რაც შეეხება არჩევნებს, ეს ხელისუფლების ხელშია. ჩვენ მზად ვართ, ამ საკითხის განხილვა დავიწყოთ, თუმცა მთავრობამ ცალსახად დააფიქსირა პოზიცია, რომ ამას არ განიხილავს.

აუდიტის სკანდალური დასკვნა – როგორ გაიცა არამიზნობრივად სახელმწიფო გრანტები

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სახელმწიფო აუდიტის სამსახური სახელმწიფო გრანტებით დაინტერესდა. აუდიტის ანგარიში, რომელიც უწყების ვებგვერდზე გამოქვეყნდა, 2017-2019 წლებში, სახელმწიფოს მიერ გაცემული გრანტების ეფექტიანობას ეხება. აუდიტის მიზანი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენა და შემდგომში მათი აღმოფხვრა გახლდათ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია და ეს სახელმწიფო აუდიტორებმაც გამოავლინეს, რომ ხარვეზები დაფიქსირდა, როგორც გრანტების დაგეგმვის, ასევე, მათი გაცემის პროცესში. მეტიც, აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ სახელმწიფო გრანტის ათვისებისა და ხარჯვის მიზნობრივ მონიტორინგშიც სერიოზული ნაკლოვანებებია.

საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის რისკები სახელმწიფო უწყებებში

სახელმწიფო გრანტების შესახებ

ვიდრე სახელმწიფო აუდიტორების მიერ გამოვლენილ ხარვეზებს გაგაცნობთ, ვნახოთ, რა ოდენობის სახელმწიფო გრანტი გაიცა 2017-2019 წლებში და კონკრეტულად რომელმა უწყებებმა მიიღეს ეს გრანტები. საქართველოს მთავრობის მიერ, 2017-2020 წლებისთვის დამტკიცებული ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის თანახმად, შედგა რეფორმების ოთხ-პუნქტიანი გეგმა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება კერძო სექტორის გაძლიერებაა. ამის შესასრულებლად, მთავრობამ გადაწყვეტილებების პაკეტი შეიმუშავა, რომელმაც ქვეყანაში ბიზნესის წარმოება უფრო მიმზიდველი და მომგებიანი გახადა.

მთავრობა მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს ბიზნესის დაწყების ხელშეწყობაზე, სტარტაპების დაფინანსების ინსტრუმენტის სახით, რაც მიჩნეულია სწრაფი განვითარების ოთხ-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად. გეგმის მიხედვით, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, განხორციელდება საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოება/გადაიარაღების ხელშეწყობა, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით, მეწარმეობის ხელშეწყობა რეგიონებში და საქართველოში კინოწარმოების განვითარება.

გეგმის მიხედვით, განათლების სფეროში გასატარებელი ღონისძიებებით გათვალისწინებულია განათლების რეფორმის შედეგად, ადამიანური კაპიტალის განვითარება და მისი მაქსიმალური, ეფექტიანი ჩართვა ქვეყნის განვითარებაში, უმაღლესი განათლება დაეფუძნება ეკონომიკის საჭიროებებს და მოთხოვნებს, ხელი შეეწყობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სამეცნიერო გრანტების დაფინანსებით ფუნდამენტური და გამოყენებით სამეცნიერო ტექნოლოგიური კვლევების ჩატარებას.

2017-2019 წლებში, სახელმწიფოს მიერ გრანტების სახით დაფინანსებულია: **სოფლის მეურნეობა – 366 345 000 ლარით; განათლება – 122 378 000 ლარით; „აწარმოე საქართველოში“ – 90 352 000 ლარით; ინოვაციები და სტარტაპები – 6 552 000 ლარით.**

ხარვეზები სახელმწიფო გრანტების დაგეგმვაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ შემოწმებული რვა ორგანიზაციიდან ექვსში, განსაზღვრული გრანტის გაცემის მიზნები ზოგადი ხასიათისაა, არ არის ან არასათანადოდაა განსაზღვრული შედეგების შეფასების ინდიკატორები. სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, სწორედ ეს ხარვეზი არ იძლევა შესაძლებლობას გაანალიზდეს, კონკრეტულად რა მოცულობით და როგორი ხარისხით შეუწყო ხელი 2017-2019 წლებში, გრანტის სახით დახარჯულმა საბიუჯეტო სახსრებმა საქართველოს მთავრობის მიერ, 2017-2020 წლებისთვის დამტკიცებული, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

უფრო კონკრეტულად, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ სსიპ „რუსთაველის ფონდის“ მიერ გამოცხადებული სამეცნიერო გრანტების კონკურსის პირობებით, რომლითაც ფუნდამენტური კვლევები უნდა დაფინანსებულიყო, დასაფინანსებელი კვლევა გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა ყოფილიყო სოციალურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული ან/და ტექნიკური პროგრესის საფუძველი.

სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის „ახალგაზრდები ცვლილებებისთვის: უკეთესი უნარები წარმატებული მომავლისათვის“ მიზანი იყო ახალგაზრდებისთვის ისეთი ცოდნისა და კომპეტენციების განვითარების უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობდა მათ შრომით ეფექტიანობას, კონკურენტუნარიანობას და დასაქმებას.

სსიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ მიერ განხორციელებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის – „ქართული ჩაის“ ერთ-ერთი მიზანია საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის, მათ შორის, ბიო-ჩაის წარმოების ზრდის ხელშეწყობა, შედეგად, თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის ზრდა.

სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ერთ-ერთი მიზანია საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ეფექტიანი გამოყენება მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და საექსპორტო პოტენციალის ზრდა, გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობის გამარტივება და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

„სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ მიერ გაცემული გრანტების მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა. მიზნის მიღწევის შეფასების ინდიკატორებად განსაზღვრულია დასაფინანსებელ ბენეფიციართა რაოდენობა და გრანტების თანხობრივი მაჩვენებლები.

სსიპ „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ მიერ გაცემული გრანტების მიზანია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადება და მათი შესაბამის სფეროში/დაწესებულებაში, საუნივერსიტეტო სივრცეში აკადემიური მოღვაწეობის მიზნით ინტეგრირების ხელშეწყობა. ასევე, საუნივერსიტეტო განვითარების პროგრამების პოპულარიზაცია კურსდამთავრებულთა შორის და მათთან თანამშრომლობის გზით პროფესიული ქსელის შექმნა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში

შემოწმებული რვა ორგანიზაციიდან ორში გამოვლინდა პროექტის დაგეგმვის ნაკლოვანებები, კერძოდ, სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში“, ბენეფიციართა მიერ წარდგენილ გრანტის ბიუჯეტში, სათანადოდ არ იყო გაანალიზებული შესასყიდი საქონლისა და მომსახურების რეალური მოცულობები, საბაზრო ფასები, თანამშრომელთა საჭირო რიცხოვნობა და საბაზრო პირობების შესაფერისი სახელფასო განაკვეთები. შედეგად, შერჩეული 19 ბენეფიციარიდან 5-ის მიერ, პროექტის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებებით, იჯარის, მარკეტინგისა და სხვა ხარჯების შემცირების შედეგად 71 562 ლარით გაზრდილია სახელფასო ფონდი! ამასთან, პროექტის მიმდინარეობისას შერჩეული 19 ბენეფიციარიდან 4-მა, ბიუჯეტის მუხლებს შორის თანხები დაუსაბუთებლად გადაანაწილა და პროექტის ვადა უსაფუძვლოდ გაახანგრძლივა, რის გამოც გაიზარდა საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის რისკები.

„სოფლის განვითარების სააგენტოს, პროექტის დაწყების ეტაპზე, არ გააჩნდა ინფორმაცია დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ (ჩაის წარმოების და გადამუშავების ფაქტობრივი მონაცემები). თავდაპირველად, პროგრამით გათვალისწინებული იყო გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობის, აღჭურვისა და საწარმოში სურსათის ხარისხისა და უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემის – HACCP დანერგვის ვალდებულებები, რაც 35 ბენეფიციარიდან 19-მა ვერ შეასრულა. უფრო ზუსტად, 4 შემთხვევაში არ შესრულდა საწარმოს აშენების, აღჭურვისა და სტანდარტების დანერგვის ვალდებულება, 14 შემთხვევაში

აუდიტის სკანდალური დასკვნა – როგორ გაიცა არამიზნობრივად სახელმწიფო გრანტები

– საწარმოს აღჭურვისა და სტანდარტების დანერგვის ვალდებულება, ხოლო ერთ შემთხვევაში – სტანდარტის დანერგვის ვალდებულება“.

ნაკლოვანებები გრანტების გამოცხადება-გაცემაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ შემოწმებული რვა ორგანიზაციიდან სამის მიერ გამოცხადებული საგრანტო პირობები და დაფინანსების სქემა არ არის მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული. შესაბამისად, კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის კრიტერიუმებსა და პროცესში არ არის სათანადოდ დაცული გამჭვირვალობისა და თანასწორობის პრინციპები, რამაც შესაძლოა, გრანტის ხელმისაწვდომობა შეზღუდოს.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“, სსიპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსა“ და სსიპ „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ მიერ გამოცხადებული საგრანტო პირობები არ იყო მკაფიო, რაც იძლეოდა სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას და ვერ უზრუნველყოფდა ბენეფიციართა შერჩევისას თანასწორობის პრინციპის სრულყოფილ დაცვას.

„სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ შემუშავებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში მიღებული განაცხადების დამუშავებისა და თანადაფინანსების გაცემის დეტალური პროცედურის თანახმად, სარეაბილიტაციო სამუშაოები გაწერილია თანადაფინანსების ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან – 36 თვეზე, რაც მოიცავს სამუშაოების დაწყებიდან პლანტაციის მსხმოიარობაში შესვლის პერიოდს. სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის თანადაფინანსება სრული ოდენობით გაიცემა პირველივე წელს, არადა, ამ სამუშაოების ჩატარების ვალდებულება გაწერილია 36 თვეზე. სამი წლის განმავლობაში ასათვისებელი თანხის პირველსავე წელს სრულად გაცემით, გრანტის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იზრდება საბიუჯეტო თანხების დანაკარგების რისკები“.

სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში – „ახალგაზრდები ცვლილებებისთვის: უკეთესი უნარები წარმატებული მომავლისათვის“, ბენეფიციართა შერჩევის საკონკურსო მოთხოვნებმა სათანადოდ ვერ უზრუნველყო გამჭვირვალობისა და სამართლიანი შერჩევის პრინციპების დაცვა. საკონკურსო კომისიამ, შერჩევის პირველ ეტაპზე, სხვადასხვა საფუძვლებით, საგრანტო კონკურსიდან განუხილველად დატოვა 23 ორგანიზაცია, ხოლო 7 ორგანიზაციას განაცხადში არსებული ხარვეზების გამოსწორებისათვის მისცა დამატებითი ვადა, თუმცა დოკუმენტურად არ არის დასაბუთებული 23 ორგანიზაციის დისკვალიფიკაციისა და 7-ის შერჩევის საფუძველი. ამასთან, არ არსებობს ინფორმაცია ბენეფიციართა მიმართ დადგენილი ხარვეზების გამოსწორების შესახებ.

სსიპ „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ მიერ გამოცხადებული „საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის“ ბენეფიციარის შერჩევის ერთ-ერთ პირობად განსაზღვრულია საზღვარგარეთ სწავლისთვის მენტალური და ფსიქოლოგიური, საზღვარგარეთ ქვეყნის პოზიტიურად პოპულარიზაციის ინტერესი და მზაობა, რომლის განსაზღვრა შეფასების კრიტერიუმების არარსებობის პირობებში, დამოკიდებულია სუბიექტურ მსჯელობაზე.

„შემოწმებული რვა ორგანიზაციიდან სამში, გრანტების გაცემის პროცესში გამოვლინდა სხვადასხვა სახის ნაკლოვანება, მაგალითად: სსიპ-მა „აწარმოე საქართველოში“, საგრანტო ხელშეკრულებები გააფორმა საგადასახადო ვალდებულების მქონე კომპანიებთან; სოფლის განვითარების სააგენტოში პოტენციურ ბენეფიციართა მიერ წარდგენილი საწარმოს შექმნის გეგმები არ შეიცავს მოთხოვნილ დეტალურ ინფორმაციას. ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები ვერ უზრუნველყოფს კონკურსანტების მიმართ სამართლიანი მიდგომისა და გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტს“.

ხარვეზები გრანტის ათვისებასა და ხარჯვის მონიტორინგში

სახელმწიფო აუდიტორების მიერ შემოწმებული რვა ორგანიზაციიდან სამში, გრანტის ათვისებისა და მიზნობრივად ხარჯვის მონიტორინგის პროცესის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები გამოვლინდა. კერძოდ, სოფლის განვითარების სააგენტო 36-თვიანი პროექტის მონიტორინგს ატარებდა მხოლოდ პირველ წელს. ინოვაციების სააგენტოს მიერ არ ხორციელდებოდა პროექტის მიმდინარეობის ანგარიშების განხილვა-დამტკიცება და დაფინანსებულ პროექტებში დამტკიცებული სახელფასო ხარჯები 335 040 ლარით აღემატება ინოვაციების სააგენტოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად რეკომენდებულ ოდენობას. სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“-ს მხრიდან არასათანადო კონტროლის გამო, სალიზინგო კომპანიების მიერ ლიზინგის საგნის ღირებულებაში შეყვანილია კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი ხარჯები. ასევე, სესხის თანადაფინანსების კომპონენტში, სააგენტოს კონტროლის მექანიზმები სესხის მიზნობრივ ათვისებაზე, საპროცენტო თანხების სწორად განსაზღვრაზე და ბენეფიციართა მიერ საქმიანობის დაწყებასა და პროფილის შენარჩუნებაზე არადამაკმაყოფილებელია და დიდწილად დამოკიდებულია პროცესში ჩართულ მხარეთა კეთილსინდისიერებაზე, რასაც საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური და არაეფექტიანი ხარჯვა მოჰყვება.

„შემოწმებული რვა ორგანიზაციიდან ორში, გრანტის ათვისების, მიზნობრივად ხარჯვის მონიტორინგის პროცესისა და მასზე რეაგირების ხარვეზები გამოვლინდა. ახალგაზრდობის სააგენტოს, მონიტორინგით გამოვლენილ დარღვევებზე არ გამოუყენებია ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებამოსილება. კოოპერატივების სააგენტოში გამოვლინდა მონიტორინგის შედეგებზე რეაგირებისა და დოკუმენტირების ნაკლოვანებები. ყოველივე ეს, გაცემული გრანტების ათვისებასა და მიზნობრივად ხარჯვის კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე მიუთითებს და აფერხებს დასახული მიზნების სრულყოფილად მიღწევის შესაძლებლობას“.

შემოწმებული რვა ორგანიზაციიდან ორში გამოვლინდა, რომ გრანტების გაცემის პროცესში მოქმედი ნორმები ვერ უზრუნველყოფს სათანადო პრევენციული კონტროლის მექანიზმების დადგენას. კერძოდ, ინოვაციების სააგენტოს მიერ დადგენილი ზღვარი, შესყიდვების საკონკურსო წესით განხორციელებასთან დაკავშირებით, არაეფექტიანია. რიგ შემთხვევებში, შესყიდვები განხორციელდა კომპანიებისგან, მაგრამ საკონკურსო ვაჭრობის გარეშე.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ყოველივე ეს, ვერ უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრებით გაცემული გრანტების ეკონომიური, გამჭვირვალე და სამართლიანი განაწილების პრინციპების დაცვას.

გაცემული გრანტებით მიღწეული შედეგების შეფასება

სახელმწიფო გრანტების ეფექტიანობის განსაზღვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია გაცემული გრანტებიდან მიღებული შედეგების შეფასება, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მიზნების შედეგებთან შედარებას და მიღებული სარგებლის შეფასებას. თავის მხრივ, ანალიზის პროცესში, მნიშვნელოვანია გამოყენებული ინფორმაციის სანდოობა, წყაროების ობიექტურობა, ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

სახელმწიფო აუდიტორების მიერ შემოწმებული რვა ორგანიზაციიდან ექვს შემთხვევაში, გრანტის გამცემი ორგანიზაციები არ ატარებენ გაცემული გრანტებიდან მიღებული შედეგების ანალიზს, გრანტის მიზნების შედეგებთან შედარებასა და მიღებული სარგებლის შეფასებას, ხოლო ერთ შემთხვევაში, შედეგების შეფასება ხორციელდება არასრულყოფილად. კერძოდ, ააიპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს“ მიერ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარედგინებოდა 2017-2019 წლების ანგარიშები, სადაც აღნიშნულია ის შედეგები და ეფექტიანობა, რაც სააგენტოს მიერ სახელმწიფო პროგრამების განხორციელების შედეგად იქნა მიღწეული. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს არ აქვს შემუშავებული საგრანტო პროგრამების პროგრამული და ფინანსური შეფასების, შედეგიანობისა და ეფექტიანობის განსაზღვრის გაწერილი პროცედურა და მეთოდოლოგია.

ყველაზე საშიში პროფესიული დაავადებები

ექიმთა მონაცემებით, საშიში პროფესიული დაავადებები ყველაზე ხშირად მედდებსა და სპორტსმენებს ემართებათ. ყველაზე ტრავმული პროფესია კი, თურმე, დალაქობაა, რაც მთელი დღე მოუხერხებელ პოზებში ფეხზე დგომით, ცხელ წყალთან, ბასრ ხელსაწყოებთან, ელექტრომოწყობილობებთან მუდმივი კონტაქტითაა გამოწვეული.

ნიუ იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის შეფასებით, ყოველი მეხუთე პარიკმახერი, რომელიც მუდმივი ავადმყოფობითაა შეწუხებული, სამუშაოს თავის დანებების გადაწყვეტილებას იღებს. ყველაზე გავრცელებული ჩივილებია: ტკივილი ზურგის არეში (30%), იდაყვებში (25%), თავის ტკივილი (23), ფრჩხილების მდგომარეობის გაუარესება (20), მაგრამ მთავარი პრობლემა მაინც ქიმიურ პრეპარატებთან მუდმივი კონტაქტია: სალონებში გამოსაყენებელ თითქმის 5000-მდე სხვადასხვა ნივთიერებასთან მრავალსაათიანი შეხებით პარიკმახერებს არა მხოლოდ კონტაქტური დერმატიტის და კანის სხვა ძნელად განსაკურნი, არამედ, სასუნთქი სისტემის მძიმე დაავადებებიც უჩნდებათ. საერთოდ, მედდის პროფესია, ასე ვთქვათ, მსუბუქად არასოდეს ითვლებოდა, მაგრამ უკანასკნელ წლებში მეცნიერებმა გამოავლინეს, რომ ამ პროფესიის წარმომადგენლებს გულის იშემიური დაავადება და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი კლავთ.

დიუსელდორფის უნივერსიტეტის მედიცინის სოციოლოგიის პროფესორის, იოჰანეს ზიგრისტის შეფასებით, მედდის პროფესია, სტრესის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე არაკეთილსაიმედოა. მაღალი პასუხისმგებლობა, შეზღუდული უფლებამოსილება და ამის გამო მედდებზე პაციენტების უკმაყოფილება, ექიმების მხრიდან ხშირი უპატივცემულობა, მძიმე სამუშაო და დაბალი ხელფასი, ნაკლები პროფესიული პერსპექტივა – ყოველივე ეს მუდმივ ფსიქოლოგიურ დაძაბულობას იწვევს. სტრესის დროს სისხლში ადრენალინი გადმოიტყორცნება და წნევა მკვეთრად მაღლდება. თუ ეს რეგულარულად ხდება, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი თანდათან მატულობს.

პრინსტონის უნივერსიტეტის მეცნიერთა შეფასებით, მხატვრობაში გამოყენებულ 20-ზე მეტ პიგმენტს გამოხატული ტოქსიური, ან კანცეროგენული მოქმედება აქვს. მოწამვლის სიმპტომები შეიძლება, ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს.

ტყვიის პიგმენტების მუდმივი შესუნთქვა ანემიას, თირკმლების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და ნერვული სისტემის დაზიანებას იწვევს. კადმიუმის პიგმენტები ფილტვების კიბოს განვითარების რისკს ზრდის. ქრომთან კონტაქტს ადამიანი წყლულამდე და კანის ალერგიულ დაავადებებამდე მიჰყავს. მურის პიგმენტები კიდევ უფრო საშიშია კანისთვის – რეგულარული ზემოქმედებით კიბოს გამოწვევა შეუძლია.

ტყვიის სურინჯის, იისფერი კობალტის და ყვითელი კადმიუმის კობალტის მსგავსი ბუნებრივი საღებავები ბევრად უფრო საშიშია თანამედროვე სინთეტურ საღებავებზე, რომლებიც, ჩვეულებრივ, მასობრივი წარმოების წინ უსაფრთხოების მინიმალურ შემოწმებას მაინც გადიან.

სპორტსმენები, ტრავმების რაოდენობის მიხედვით, ბევრ სხვა პროფესიის წარმომადგენლებს უსწრებენ, მაგრამ მედლებისკენ სწრაფვა მოსალოდნელ საფრთხეებს ჯაბნის. მაგალითად, სპორტის ზოგიერთი სახეობა სხეულის მარჯვენა და მარცხენა ნახევრების კუნთების არათანაბარ განვითარებას იწვევს. კუნთების ასიმეტრია განსაკუთრებით დამახასიათებელია ფეხბურთელებისთვის. სპეციალისტები თვლიან, რომ ის ტრავმებისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებების რისკს ზრდის.

მეორე უბედურება კბილების ემალის დაშლაა, რაც სპორტული სასმელებითაა გამოწვეული. მათში ბევრია ისეთი მჟავები, რომელიც ნელ-ნელა აღწევს ემალში, რაც, თავის მხრივ, კბილების მგრძნობელობას ამაღლებს და კარიესის რისკს ზრდის.

როგორ ავიმაღლოთ იმუნიტეტი

იმუნიტეტის ასამაღლებლად ხალხური საშუალებები ყველასთვის ეფექტური და ხელმისაწვდომია:

- 300 გრ თაფლს შეურიეთ 50 გრ ნიგოზი (დანაყული, ან დაბლენდერებული), დაუმატეთ 3 ლიმონის და 100 მლ ალოეს წვენი. მიიღეთ დღეში 3-ჯერ 1 ჩ/კ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.
- 100 გრ ლეღვის ჩირს დაასხით 2 ჭიქა ცხელი წყალი და ნელ ცეცხლზე 15 წთ ხარშეთ. შემდეგ, გადმოდგით და 2 საათი გააჩერეთ, გაწურეთ და დალიეთ თითო ჯერზე 100 მლ, ყოველი კვების წინ (დღეში 3-ჯერ).
- ორ მუჭა მოცხარის ცოცხალ ფოთლებს დაასხით 1 ლ მდუღარე წყალი და გააჩერეთ 3 წთ. შემდეგ, ჩაასხით ფინჯნებში, დაუმატეთ ცოტაოდენი შაქარი და თაფლი. ერთი ფინჯანი ასეთი ჩაი მოგიხსნით დაღლილობას, გაწმენდს ორგანიზმს და გაგახალისებთ.
- დღეგრძელობისა და ჯანმრთელობისთვის კარგია ანწლი: 1 ს/კ გამხმარ ანწლის ნაყოფს დაასხით 0.5 ლ წყალი და 10 წთ ხარშეთ, გააცივეთ, გაწურეთ, დაუმატეთ ცოტაოდენი თაფლი – დაახლოებით, 2 ს/კ.
- 150 გრ წვრილად დაჭრილ ხახვს დაასხით 100 მლ ნატურალური თაფლი და 1 ლ შავი, ან წითელი ღვინო. შუშის ჭურჭელში გააჩერეთ 2 კვირა, შემდეგ, გაწურეთ. მიიღეთ დღეში 5 ს/კ.

რატომ არის აუცილებელი ორსულების კოვიდზე აცრა

„ძალიან გაკვირვებული ვარ“ – ლადო კახაძის რეკომენდაციები

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში, კორონავირუსით 13 ორსული გარდაიცვალა. დაუდასტურებელი ცნობით, რამდენიმე ორსულის გარდაცვალების მიზეზი ექიმის არასწორი რეკომენდაცია გახდა, რაც ვაქცინაციაზე უარის თქმას გულისხმობდა.
როგორ უნდა დაიცვან თავი ორსულებმა კოვიდისგან? – „ვერსია“ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლადო კახაძეს ესაუბრა, რომლის თქმითაც, ერთადერთი გზა ქალის უსაფრთხო ორსულობისთვის ვაქცინაციაა.

„ორსულობის პერიოდში, ქალის იმუნური სისტემა ძალიან დასუსტებულია. პანდემიის ასეთ რთულ ვითარებაში, აუცილებელია, ყველა ორსულმა გაიკეთოს კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინა, რითაც თავსაც დაიცავს და ნაყოფის სიცოცხლესაც. გარდა ვაქცინისა, აუცილებელია პირბადის ტარება, დისტანციისა და დღეისთვის მოცემული რეკომენდაციების მაქსიმალური დაცვა“, – ამბობს კახაძე.

ამასთან, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ ექიმების გარკვეული ნაწილი აცრის რეკომენდაციას არ აძლევს პაციენტებს და რამდენიმე ორსული, ექიმის სწორედ ამგვარ რეკომენდაციას შეეწირა.

რა შეიძლება მოჰყვეს ექიმების ამგვარ გადაწყვეტილებებს? – ამ კითხვაზე კახაძე გვპასუხობს:

„ექიმების ფიცის ერთ-ერთ პუნქტში წერია: „არა ავნო“, რაც ნიშნავს, რომ არასწორი რჩევაც კი ადამიანს ვნებს.

საერთოდ, ექიმის სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პაციენტისთვის. ჩემთვის გაუგებარი, მიღებელი და დიდად გასაკვირიცაა ექიმის მიერ ორსულისთვის არასწორი რჩევის მიცემა.

მკითხველმა მაპატიოს, შეიძლება მკაცრი ვარ, მაგრამ არ მომწონს მსგავსი რჩევა, როდესაც ექიმები ეუბნებიან პაციენტებს, არ აიცრათო.

ორსულობის დროს, უკუჩვენებას აცრა არ იძლევა, ამიტომ ვაქცინაცია, ვაქცინაცია და კიდევ ერთხელ ვაქცინაცია!“ – ამბობს კახაძე.

ნუკი გაგულიძე

სამართალი

№31 1 სექტემბერი 2021 წ

საშინელი შურისძიება – რატომ გაიმეტა მოსაკლავად ახალგაზრდა მამაკაცმა 10 და 14 წლის ბავშვები

ბათო ჯაფარიძე

პანდემიის გამო, დღეს კარგ მდგომარეობაში არც ბავშვები არიან. მართალია, ჯერჯერობით, ვირუსი არასრულწლოვნებს ნაკლებად ერჩის, მაგრამ ფაქტია – ბოლო ორი წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენები, მოზარდების ფსიქიკაზე კარგად ნამდვილად არ აისახება. საერთოდ, ბავშვებისთვის კარგი გარემოს შექმნა აუცილებელია და რამდენიც უნდა ლანძღონ, კომუნისტები მაქსიმალურად ცდილობდნენ, პატარებს უზრუნველი ბავშვობა ჰქონოდათ.

„დედასთან ღამე კაცები მოდიოდნენ და ყველაფერს ვხედავდი“

„იშვიათად ხდებოდა, რომ თბილისიდან მკვლელობის გამოსაძიებლად რეგიონებში გავსულიყავით. საქმე ის გახლდათ, რომ რეგიონებში მაშინ განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლების ყოფნა საჭირო არ იყო – არ ხდებოდა ასეთი დანაშაულები და ადგილებზეც ძალიან გამოცდილი კადრები იყვნენ. ამის მიუხედავად, მოხდა ისეთი რამ, რაც ერთი შეხედვით, გაუგონარი ჩანდა – ტყეში და-ძმას იარაღიდან ესროლეს. ბავშვები არასრულწლოვნები იყვნენ, უფრო კონკრეტულად კი, გოგო 14 წლის გახლდათ, ბიჭი – 10-ის. საქმეს გრიფით საიდუმლო მაშინვე დაედო, რადგან საბჭოთა კავშირში ბავშვებს არ კლავდნენ“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ექსპერტიზის დასკვნით, გასროლა სანადირო თოფით განხორციელდა. და-ძმა, ტყის გავლით, მეორე სოფელში, ბებიასთან მიდიოდა და გასროლაც ამ დროს გაისმა. პირველი ტყვია ბიჭს მოხვდა და უსულოდ დაეცა, გოგონა გაიქცა და მეორე ტყვია, დაახლოებით, 10 მეტრში დაეწია. წაქცეულს, მკვლელმა სახეში, დამიზნებით ესროლა, მაგრამ გოგონა გადარჩა, თუმცა ერთი თვალი სამუდამოდ დაკარგა და სახეც საშინლად დაუმახინჯდა. ექიმები პირობას დებდნენ, გოგონა საუბარს, მაქსიმუმ, ერთ კვირაში მოახერხებსო, თუმცა გამოძიებას საქმის გახსნა ცხელ კვალზე სურდა.

გასროლა სანადირო თოფით იყო განხორციელებული, ბიჭს ჟაკანი პირდაპირ თავში მოხვდა და ადგილზე მოკლა, გოგოს შემთხვევაში კი ორივე გასროლა საფანტით განხორციელდა. ვარაუდი, რომ მკვლელს გოგონას მოკვლა არ სურდა, სისულელე იყო, რამეთუ გარანტია არ ჰქონდა, ლამის ერთი მეტრიდან, თავში ნასროლი ტყვიის შემდეგ თუ გადარჩებოდა.

„ადგილობრივმა გამომძიებლებმა გაიხსენეს, რომ დაახლოებით, ორი წლის წინ, იმავე ტყეში მამაკაცი მოკლეს. მაშინაც გასროლა სანადირო თოფიდან განხორციელდა და ჩათვალეს, რომ ვიღაცას შემთხვევით გაუვარდა და მკვლელობა გაუხსნელი დარჩა. ეს ორი საქმე გავაერთიანეთ და ახლო-მახლო სამ სოფელში, ვისაც ოფიციალურად თოფი ჰქონდა გაფორმებული, ყველა დავიბარეთ, აბსოლუტურად ყველა, რადგან გვაინტერესებდა, ვის ჰქონდა თოფი, ვისზე შეიძლებოდა ეჭვის მიტანა და რაც მთავარია, გვქონდა ქაღალდის ნაფლეთები, რომლითაც ტყვიები დატენეს. ექსპერტიზის დასკვნით, ეს გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ ნაგლეჯები იყო და მერე გვინდოდა, თოფის საეჭვო მფლობელების ტყვიებიც შეგვემოწმებინა. „სოფლის ცხოვრება“ ყველა ოჯახს ჰქონდა გამოწერილი და ეს შედეგს ვერ მოგვცემდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

თოფები ყველამ მოიტანა, მაგრამ გამომძიებლებმა ხელები უიმედოდ გაშალეს – ერთიც არ იყო ისეთი, რომელზეც ეჭვის მიტანა შეიძლებოდა და ვინც ბავშვებს მოსაკლავად გაიმეტებდა.

სამაგიეროდ, სოფელში იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც არარეგისტრირებული თოფები ჰქონდათ და ახლა მათი შემოწმება დაიწყეს. აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღიარა, რომ გაუფორმებელი თოფი ჰქონდა, სამალავიდან გამოიტანა და გაფორმების პირობაც დადო. სამი სოფლის მხოლოდ ორმა მაცხოვრებელმა უარყო, რომ თოფი ჰქონდა. ერთი ასაკიანი ბაბუ იყო, რომელიც ამტკიცებდა, მქონდა, მაგრამ ტყეში დამრჩა და დავკარგეო. მეორე კი 20 წლის ბიჭი იყო. ამ შემთხვევაში, სამართალდამცავებს ეჭვის ნაკლები საფუძველი ჰქონდათ. ბიჭის მამა სასჯელს იხდიდა და მეზობლების მტკიცებით, თოფიც სწორედ მამის ხელში ჰქონდათ ნანახი და არა – შვილის.

სავარაუდო იყო, რომ ოჯახმა არ იცოდა, სად მალავდა კაცი თოფს, ამიტომ მოხუცის დამუშავება დაიწყეს, მისი სახლიც გაჩხრიკეს, თუმცა ამაოდ.

„ძიება ჩიხში შევიდა, ყველა ვერსიამ ჩაილურის წყალი დალია და ისე გამოდიოდა, რომ ძველ მკვლელობას ვინ ჩივის, ახალიც არ იხსნებოდა. საშველი მხოლოდ გოგოს გამოჯანმრთელება იყო. დიდი ალბათობით, მან დაინახა ადამიანი, ვინც ერთი მეტრიდან ესროლა და მისი ამოცნობაც უნდა შეძლებოდა. გოგონამ საუბარი ათი დღის შემდეგ შეძლო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

გამომძიებელთა სამწუხაროდ, გოგომ ვერაფერი თქვა. ამტკიცებდა, მკვლელი თავზე რომ დამადგა, თვალებში მზე მანათებდა, მხოლოდ სილუეტს ვხედავდი, თავზე ქუდი ეფარა, ახალგაზრდა იქნებოდა, ასაკოვანს არ ჰგავდაო. მისი მონაყოლი მოხუცის მონაწილეობას გამორიცხავდა, რადგან მას ლამის მუხლამდე წვერი ჰქონდა, გოგონა კი ამტკიცებდა, წვერიანი არ იყო, ახალგაზრდასავით გამოიყურებოდაო.

თბილისელი გამომძიებლები დედაქალაქში ხელცარიელები დაბრუნდნენ და საგანგებო თათბირზე, საქმის ვითარება კოლეგებს გააცნეს. შეაჯამეს ყველა დეტალი იმის იმედად, რომ შესაძლოა, რაღაც გამორჩათ ან ვერ მიხვდნენ. ახსენეს ორი წლის წინ მომხდარი მკვლელობაც და ისიც თქვეს, მართალია, დარწმუნებული ვართ, მაშინაც არ იყო შემთხვევითი მკვლელობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერავინ ხსნიდა, რატომ არ ჩანდა მკვლელი ორი წლის განმავლობაში.

ერთ-ერთი გამომძიებლის აზრით, შესაძლოა, დამნაშავე მალევე დაიჭირეს და ახლა გამოვიდა, თუმცა არც ეს ვერსია გამართლდა – მართლაც, რამდენიმე დაკავებული იყო, მაგრამ ნაწილი სასჯელს ისევ იხდიდა, ნაწილის დაკავება დროს არ ემთხვეოდა, ერთადერთ სავარაუდო ეჭვმიტანილს კი ძალიან მყარი ალიბი ჰქონდა – სხვა ქალაქში, სამხედრო პოლკოვნიკის სახლში სარემონტო სამუშაოებს ასრულებდა და პოლკოვნიკი მთელი დღე თავზე ადგა.

„ხომ შეიძლება, დაპატიმრებული კი არა, ჯარშია და სავალდებულო სამსახურს იხდის“, – თქვა ერთ-ერთმა გამომძიებელმა და დანარჩენებმა ერთმანეთს გადახედეს. ეს რაღაც ახალი იყო და თბილისელი მაძებრები კვლავ სოფელში დაბრუნდნენ. ისეთი, ვისაც ჯარი უწევდა, სამ სოფელში, სულ 11 ბიჭი იყო. 11-ში გახლდათ ისიც, ვისი მამაც სასჯელს იხდიდა და რომელმაც თქვა, წარმოდგენა არ მაქვს, მამაჩემს თოფი თუ ჰქონდაო. რაღა თქმა უნდა, მთავარი ეჭვმიტანილი სწორედ ის გახდა და გამომძიებლებს სახლის ჩხრეკის ორდერის მოპოვება არ გასჭირვებიათ. ჩხრეკის შედეგად, თოფიც იპოვეს და ტყვიებიც. რაც მთავარია, ექსპერტიზამ დაასკვნა – ამ თოფიდან არცთუ დიდი ხნის წინ ისროლეს. ყველასთვის მოულოდნელად, ბიჭმა დანაშაული ძალიან მშვიდად და ცინიკურად აღიარა.

„რაც თავი მახსოვს, მამაჩემი მუდმივად ციხეშია. მე და ჩემს დას დედა გვზრდის. სახლში ერთადერთი ოთახი იყო, სადაც ყოფნა შეიძლებოდა და ამიტომ, ყველას იქ გვეძინა. დედასთან ღამით კაცები მოდიოდნენ და მას ეგონა, რომ მეძინა, სინამდვილეში, ყველაფერი არათუ მესმოდა, არამედ, ვხედავდი კიდეც. შემდეგ, როცა წამოვიზარდე, ეს კაცები ორაზროვანი ღიმილით მიყურებდნენ ხოლმე, მომიკითხავდნენ, როგორ ხარო, დედა როგორ არისო, მამა როდის გამოვაო... სამყარო შემძულდა. თოფი შემთხვევით ვნახე და ტყეში სასროლად წავიღე. იქ დავინახე ერთ-ერთი კაცი, რომელიც დედას სტუმრობდა ხოლმე და დაუფიქრებლად ვესროლე. შემდეგ თოფი საგულდაგულოდ დავმალე, მეგონა, ადვილად მიპოვნიდნენ სამართალდამცავები, მაგრამ ვერ მომაგნეს. ორ თვეში, ჯარში წავედი, მერე დავბრუნდი და ყველაფერი ძველებურად დამხვდა. მივხვდი, სანადირო თოფიდან გასროლის გამოძიება ძნელი იქნებოდა. ამიტომ, ტყეში წავედი და მორიგი მსხვერპლის ლოდინი დავიწყე. ახლა ნადირობის სეზონი არ არის, ამიტომ არავინ დადიოდა. იმ ორმა ბავშვმა გამოიარა, მაგათი მამაც დადიოდა დედაჩემთან და გადავწყვიტე, შური მეძია. მეგონა, ორივე მოვკალი, მაგრამ გამიხარდა, გოგო რომ გადარჩა, ასეთ მახინჯს რომ შეხედავდა მამა, უფრო დაიტანჯებოდა. ჩემზე არავინ ფიქრობდა, არასდროს არავინ ფიქრობდა. დარწმუნებული ვარ, მათ იცოდნენ, რომ მეღვიძა და მაინც არ მერიდებოდნენ“, – ეს არის ამონარიდი ბიჭის ჩვენებიდან.

ახალგაზრდული ასაკის გამო, სასამართლომ დახვრეტის განაჩენი არ გამოიტანა, მაგრამ მკვლელს 15 წელი მისცა. ორი წელი დაუმატა მამას, რადგან იარაღი ისე შეინახა, რომ შვილმა მიაგნო. ამასთან, თოფი გაუფორმებელი იყო.

„არ ვიცი, გათავისუფლების შემდეგ, ის ბიჭი რა გზას დაადგა, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ გათავისუფლდა, რადგან იქაურმა მაძებრებმა მითხრეს, სოფელში გამოჩნდა ორი დღით და მერე გაქრაო“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

თბილისში ძმებმა ტაქსის მძღოლი მოკლეს

შემთხვევით ნაპოვნი განძი, რომლითაც გამოძიებამ საზარელი დანაშაული გახსნა

ბათო ჯაფარიძე

ხანდახან ისე ხდება, რომ გამოძიება შემთხვევით იწყება. შემთხვევით იმიტომ, რომ არ არის საჩივარი, არ არსებობს დაზარალებული და სამართალდამცავებმაც არ იციან, ვინ და რა ეძებონ. ეს ორი რამის გამო ხდება – ან დაზარალებული, გარკვეულ მიზეზთა გამო, განცხადებას არ წერს, ან დაწერილ განცხადებას სამართალდამცავები გულგრილად ეკიდებიან და სერიოზულად არ აღიქვამენ. ასე იყო ამჯერადაც, როცა ყველაფერი თითქოს ძალიან უმნიშვნელო ამბით – ხის დარგვით დაიწყო.

„თბილისის გარეუბანში, ბარაკული ტიპის ერთ-ერთ დასახლებაში, ცოლ-ქმარს ძროხა ჰყავდა და ახლო-მახლო ფერდებზე, იქ, სადაც ახლა ქალაქია გაშენებული, კაცი ბალახს თიბავდა. ერთ დღესაც აიჩემა, მინდორში თუთის ნერგი უნდა დავრგო, მზე რომ აჭერს, ჩრდილი არ არის, გაიზრდება და მის ქვეშ დავისვენებო. ცოლი კი იცინოდა, მაგის გაზრდას ან მოვესწრებით, ან არაო. ამის მიუხედავად, კაცმა ბარი აიღო და შუა მინდორში გავიდა. თხრის პროცესში, მიწაში რკინის ყუთს მიაგნო, რომელშიც მაჯის ორი საათი, მამაკაცის ოქროს ბეჭედი, 600 მანეთი და მზის სათვალე იდო. იმის მიუხედავად, რომ მაშინდელი საზომებით, მცირე თანხა არ იყო, მაინც მილიციაში წავიდა და ნაპოვნი წარადგინა“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ექსპერტებმა ყველაფერი კარგად შეისწავლეს, ადგილიც დაათვალიერეს და დაადგინეს, რომ ყველაფერი ეს, დაახლოებით, ერთი წლის წინ ჩაფლეს მიწაში, სათვალეზე კი ადამიანის სისხლის კვალი იყო. იმ პერიოდში, განყოფილებას გაუხსნელი მკვლელობა არ ერიცხებოდა, უფრო ზუსტად, არ იყო ისეთი შემთხვევა, სადაც ეს დაკარგული ნივთები ფიგურირებდა და ამიტომ, გამომძიებლები სხვა მიმართულებით წავიდნენ. მათ უგზო-უკვლოდ დაკარგულ ადამიანთა სიას გადახედეს და დაკარგულების ოჯახის წევრების დაბარება დაიწყეს. ასეთი სულ 7 ადამიანი იყო. ერთ-ერთმა ქალბატონმა ნაპოვნ ნივთებში საკუთარი ქმრის სათვალე და საათი ამოიცნო. მეორე საათიც მისი ქმრის გახლდათ, რომელიც გაუფუჭდა და მანქანის „ბარდაჩოკში“ ეგდო. ერთი წლის წინ, ქმარი „მოსკვიჩით“ გავიდა სახლიდან და მას შემედეგ, მანქანაც გაქრა და კაციც. მილიციის თანამშრომლები ამაოდ ეძებდნენ დაკარგულ მანქანასა და კაცს. საავადმყოფოში, სადაც კაცი აღრიცხვაზე იყო, ავადმყოფობის ისტორია გადაამოწმეს და დასტურიც მიიღეს – სათვალეზე აღმოჩენილი სისხლის ჯგუფი დაკარგულისას ემთხვეოდა.

ცოლმა ნამდვილი ისტერიკა მოაწყო, ცოცხალი მეგონა, ახლა კი ვხვდები, რომ გარდაცვლილიაო. ბედის ირონიით, დაკარგულს ორსული მეუღლე დარჩა, დაკარგვიდან ორ თვეში, ცოლმა ბიჭი გააჩინა და ქმრის საპატივსაცემოდ, მისი სახელი დაარქვა. პარალელურად, იმედს არ ჰკარგავდა, რომ ქმარი აუცილებლად დაბრუნდებოდა.

რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა, პირველ რიგში, ცოლი შეისწავლეს და ერთმნიშვნელოვნად დაასკვნეს – ის ქმრის გაუჩინარებასთან კავშირში არ იყო. კაცი სამსახურშიც დადებითად ხასიათდებოდა და ერთადერთი, რაც მილიციას ცუდად ენიშნა, ის გახლდათ, რომ საღამოობით, სამსახურის შემდეგ, მამაკაცი ტაქსაობდა, რათა ოჯახს მეტი შემოსავალი ჰქონოდა. იმ დღეს ხელფასიც დარიგდა სამსახურში და გაჩნდა ვერსია, რომ დაკარგული შემთხვევითმა მგზავრებმა დააყაჩაღეს, შემდეგ კი მოკლეს, მაგრამ სად გაქრა ავტომობილი?

სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირში ავტონაწილების დიდი გაჭირვება იყო და რაიმე ნაწილის შეძენა მხოლოდ გადამყიდველებთან შეიძლებოდა. ამიტომ, ძიება ამ მიმართულებით წავიდა და დაინტერესდა, ბოლო ერთ წელიწადში ხომ არ იყო ვინმე, ვისაც შემთხვევით, „მოსკვიჩის“ ყველა ნაწილის შოვნის შესაძლებლობა ჰქონდა. ავტოსახელოსნოების დავლის შემდეგ გაირკვა, რომ ერთ-ერთი სატვირთოს მძღოლს, დაახლოებით, ერთი წლის წინ, „მოსკვიჩის“ ყველა ნაწილი ჰქონდა, ყველა მეორადი და რაც მთავარია, ყველა თითო ეგზემპლარი ანუ შემომტანი და „შავ ბაზარზე“ მომუშავე არ იყო.

„სატვირთოს მძღოლის შემოწმება დავიწყეთ. არაფერი განსაკუთრებული – ცოლი, ორი შვილი, კარგი სახელი. სამაგიეროდ, მისი ძმა აღმოჩნდა ოთხჯერ ნასამართლევი, თუმცა არცერთხელ მკვლელობაზე. წესია ასეთი: ვიღაც ან კლავს, ან არა. ე.წ. მაკრუშნიკები ცალკე კასტაა და ძალიან იშვიათია, რომ ვინმე შეგნებულად წავიდეს მკვლელობაზე, თუნდაც სხვა დანაშაულზე რამდენჯერმე ნასამართლევი იყოს“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

სატვირთოს მძღოლი მეზობლებმაც კარგად დაახასიათეს, მაგრამ ისიც თქვეს, ძმას მასზე უდიდესი გავლენა აქვს, ყველაფერზე დაითანხმებს და მაგის ძმა კი, ხომ იცით, რეციდივისტია, ყველაფერს იკადრებსო. სამართალდამცავებს პირდაპირი მტკიცებულება არ ჰქონდათ, „მოსკვიჩის“ ნაწილებიც მთლიანად ამოყიდული იყო, გარდა ძრავისა და ოპერმუშაკები შეეცადნენ, ძრავი მოეძებნათ. თუ სერიული ნომერი დაემთხვეოდა, საქმის გახსნა არ გაჭირდებოდა.

ისიც საინტერესო იყო, რატომ არ მიაკითხეს ძმებმა დამარხულ განძს, მით უმეტეს, რომ ორივე გარეთ იყო და არც 600 მანეთი გახლდათ ის თანხა, მიწაში ჰქონოდათ შენახული. ყველაზე დიდ ეჭვს სწორედ ეს იწვევდა – დამარხული განძი, რომელსაც არ აკითხავდნენ.

ვარაუდი, რომ დაავიწყდათ ადგილი, სადაც განძი ჩაფლეს, ძალიან მიამიტური იყო.

ძმების თვალთვალმა არაფერი მოიტანა, ერთი უსაქმურობდა და ვერც ფულს ხარჯავდა იმიტომ, რომ არ ჰქონდა. მეორე კი სატვირთოზე მუშაობდა და ყოველ მეორე დღეს, ძმას 10-15 მანეთს აძლევდა, რათა თავი ერჩინა.

გამოსავალი მხოლოდ ერთი იყო – სამართალდამცავები პროვოკაციაზე უნდა წასულიყვნენ. თუ დაკარგული მათი მოკლული გახლდათ, ზუსტად უნდა სცოდნოდათ, რა შეხსნეს, ამიტომ ნაპოვნი ნივთებიდან ორივე საათი აიღეს, ქაღალდში გაახვიეს და სატვირთოს მძღოლს მანქანის სავარძელზე გაზეთში გახვეული დაუდეს. შორიდან კი აკვირდებოდნენ, რა რეაქცია ექნებოდა ნივთების ნახვისას. ძმებიდან სატვირთოს მძღოლი შემთხვევით არ აურჩევიათ, რადგან გამოცდილ რეციდივისტს, შესაძლოა, ნაკვთიც არ შერხეოდა. როცა ეჭვმიტანილი მანქანაში ჩაჯდა და ქაღალდში შეხვეული გახსნა, ჯერ იყვირა, შემდეგ მანქანიდან კი არ ჩამოხტა, ლამის გადმოფრინდა. ყველაფერი ცხადი იყო – მან ნივთები იცნო. სამართალდამცავებმაც აღარ დააყოვნეს და ადგილზე დააკავეს.

„დაკითხვაზე როგორც კი შევედი, მივხვდი, ყველაფერს იტყოდა. ისე იყო აჭრილი და არეული, ნებისმიერ კითხვაზე პასუხს გამცემდა. ამიტომ მშვიდად ვუთხარი, დაიწყე-მეთქი და მანაც დაიწყო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

„იმ დღეს, მე და ჩემი ძმა შინ ვბრუნდებოდით. ხელი „მოსკვიჩს“ ავუწიეთ და მანაც გააჩერა. მე უკან ჩავჯექი, ჩემი ძმა – წინ და სახლამდე რომ მივედით, მძღოლს თუმნიანი გავუწოდე. მან საფულე გახსნა ხურდის დასაბრუნებლად და ჩემმა ძმამ მაშინვე დანა დაადო, რამდენი ფული გქონიაო. ძიძგილაობა დაიწყეს და არ ვიცი, შემთხვევით თუ შეგნებულად, დანა დაარტყა და მოკლა. ფული, ოქროს ბეჭედი, სათვალე და საათები მე მომცა, მანქანა გარაჟში დავმალეთ, გვამს კი რკინის დიდი ნაჭერი მივაბით და თბილისის ზღვაში ჩავაგდეთ. მანქანის ნაწილები მარტივად გავყიდე, ფულს სულ ჩემს ძმას ვაძლევდი, იმ ცოდვიანი თანხის შინ მიტანა არც მიფიქრია, დავმარხე და დავივიწყე. ჩემს ძმას ვერ ვუმხელდი, მეშინოდა“, – ეს არის ამონარიდი დაკავებულის ჩვენებიდან.

ადგილი, სადაც ცხედარი ჩააგდეს, ეჭვმიტანილმა მეორე დღესვე ანახა მილიციის თანამშრომლებს და იქიდან, პრაქტიკულად, ჩონჩხი ამოიღეს. მეორე ძმამ ყველაფერი უარყო და დანაშაული მთლიანად სატვირთოს მძღოლს დააბრალა. ის ყველაფერს სასამართლოზეც უარყოფდა, თუმცა მოსამართლისგან 15 წელი ერგო, პატარა ძმას – 10.

ბათო ჯაფარიძე

მეცნიერმა ძმამ ძმის სახლი დააყაჩაღა

„ძმისშვილი აბაზანაში ჩავკეტე, თანამშრომელმა კი ჩემი ძმა გათიშა“

გამოძიების დროს, შეიძლება, უმნიშვნელო დეტალიც კი დამნაშავისთვის ბრალის წარდგენის საფუძველი გახდეს, თუმცა იმავდროულად, იგივე უმნიშვნელო დეტალი ეჭვმიტანილისთვის მყარ ალიბსაც ქმნის. ამიტომ, გამომძიებლები დეტალებს დიდი ყურადღებით ეკიდებიან, თუმცა ყველაფერი გამოცდილებიდან მოდის.

„საბჭოთა კავშირის დროს, ყველაზე წყნარი 70-იანი წლების მიწურული და 80-იანი წლების დასაწყისი იყო. ხანდახან კვირა ისე გადიოდა, მკვლელობასა და ყაჩაღობას ვინ ჩივის, ძარცვაც კი იშვიათად ხდებოდა და სამართალდამცავებიც თითქოს მშვიდად ვიყავით. ყველაფერი ეს, აგენტურული ქსელის უდიდესი დამსახურებაც გახლდათ, რადგან ეს სისტემა უმაღლეს დონეზე იყო აწყობილი. ასე განსაჯეთ, თითო კორპუსში 10 აგენტიც კი გვყოლია, თან ისე, რომ მათ ერთმანეთის არსებობის შესახებ არაფერი იცოდნენ. ამიტომ, როცა დარეკეს და გვითხრეს, რომ ყაჩაღობა მოხდა, ლამის ყველა განყოფილების ხელმძღვანელი გავედით, საქმე არაფერი გვქონდა და დროს მაინც გავიყვანთო, ვფიქრობდით“, - იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

კრიმინალებმა ერთ-ერთი ინჟინრის სახლი დააყაჩაღეს. შინ მხოლოდ მამა და 7 წლის შვილი იყვნენ. ექსპერტების ვერსიით, თავდამსხმელებს, ოჯახის უფროსი, ყველა ვარიანტში გარდაცვლილი ეგონათ, რადგან თავის უმძიმესი ტრავმებით ეგდო. 7 წლის გოგონა კი აბაზანაში გამოკეტეს და უბრძანეს, ხმა არ ამოეღო. ასაკის მიუხედავად, ბავშვი მყარი ფსიქიკის გამოდგა, ამიტომ როცა თავდამსხმელები წავიდნენ, მეზობელს დაუკაკუნა, მან კი სამართალდამცავები და სასწრაფო ერთად გამოიძახა. ექიმები დაზარალებულის გადარჩენის გარანტიას ვერ იძლეოდნენ, თუმცა ამბობდნენ, რომ მაქსიმალურად ცოტა დრო დასჭირდათ ადგილამდე მისასვლელად, რაც პაციენტის შანსს ზრდიდა.

რაც შეეხება ბავშვს, მან თქვა, რომ თავდამსხმელები ორნი იყვნენ, კარი არავის გაუღია, ისე შევიდნენ ბინაში და გარდა იმისა, რომ მას ჩუმად ყოფნა უბრძანეს, გოგონამ რამდენიმე სიტყვა გაიგონა. ერთ-ერთმა თავდამსხმელმა მეორეს უთხრა, ვიჩქაროთო და პასუხად მიიღო, რატომ ვიჩქაროთ, წინ კიდევ სამი საათი გვაქვსო.

ექსპერტიზამ დაასკვნა - სახლის კარი ან ღია იყო, ან თავდამსხმელებმა გასაღებით გააღეს. რაც შეეხება წაღებულ ნივთებს... სამსახურიდან სასწრაფო წესით მოსულმა დიასახლისმა თქვა, რომ ერთი ნივთიც არ აკლდა, ყველაფერი თავის ადგილზე იყო და ეს მაშინ, როცა სახლი ყირაზე იდგა.

დიასახლისისვე თქმით, დილით ქმარმა თავი შეუძლოდ იგრძნო, შინ დარჩა და ბავშვიც სკოლიდან მან გამოიყვანა. ამას მასწავლებლებიც ადასტურებდნენ. სამართალდამცავები მუშაობას მორჩნენ, დედა-შვილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, რადგან გადაწყდა, ბავშვი, მინიმუმ, სამი დღით მაინც, ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ყოფილიყო, ბინაში კი უბნის რწმუნებული დატოვეს - დასალუქი მოწყობილობა დაავიწყდათ.

გამომძიებლები განყოფილებაში მივიდნენ თუ არა, ტელეფონმაც დარეკა. უბნის რწმუნებულს ბინაში ვიღაცები დაესხნენ, გათიშეს და გაიქცნენ. მთელი შემადგენლობა კვლავ უკან გაბრუნდა და ადგილზე ისევ სასწრაფო დახმარების მანქანა და თავგატეხილი უბნის რწმუნებული დახვდათ. დაზიანება მძიმე არ იყო და მას საუბარი შეეძლო.

როგორც გაირკვა, სამართალდამცავების წასვლის შემდეგ, კარზე ვიღაცამ დარეკა, კარი გააღო და ორი, ბანდიტური შესახედაობის კაცი დაინახა, რომლებსაც საბუთები მოსთხოვა. მათ გაქცევა სცადეს, თუმცა ერთ-ერთს მაჯაში სწვდა და ჩხუბიც დაიწყო, შემდეგ თავში იარაღის ტარი მოხვდა და გაითიშა. რაც მთავარია, რწმუნებულს ახსოვდა, რომ ერთ-ერთ თავდამსხმელს ხელზე სვირინგი ჰქონდა და უკვე ერთ საათში მილიციამ იცოდა, ვინ იყვნენ თავდამსხმელები.

ჰო, როგორც კი სვირინგის მიხედვით ერთ-ერთის ვინაობა დაადგინეს, მეორეს ვინაობას ავტომატურად მიხვდნენ. ეს ორი კრიმინალი საქმეზე მუდმივად ერთად დადიოდნენ, სასჯელიც ერთად - სამჯერ მოიხადეს და რა თქმა უნდა, ახლაც ერთად იქნებოდნენ, მით უმეტეს, უბნის რწმუნებულმა ორივე ამოიცნო.

ეჭვმიტანილები მალე დააკავეს და გამომძიებლები საქმის გახსნას ზეიმობდნენ, თუმცა...

„კოლეგებისაფუძვლიანად ვარაუდობდნენ, რომ ყაჩაღები დაბრუნდნენ. რეალურად, ცოლი ხომ ამბობდა, ბინიდან არაფერი დაკარგულაო და სამართალდამცავები ფიქრობდნენ, რომ ისინი სწორედ იმ ნივთის მოსაძებნად დაბრუნდნენ, რომელიც პირველად ვერ იპოვეს. მათ იმედებს ცივი წყალი მე გადავასხი. კარგად მახსოვდა გოგონას მიერ მოყოლილი ამბავი, როგორ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს ყაჩაღები, ჩვენი დაკავებულებიდან კი ერთ-ერთი მათგანი, დაბადებიდან ყრუ-მუნჯი იყო ანუ ვერც კითხვას დასვამდა და ვერც პასუხს გასცემდა“, - იხსენებს ბატონი თენგიზი.

სამაგიეროდ, დაკავებულების დაკითხვამ მომხდარს ნათელი მოჰფინა. როგორც გაირკვა, დაზარალებული ნაქურდალ ოქროს ყიდულობდა და ყიდდა. ეს სამართალდამცავებისთვის უდიდესი სიურპრიზი იყო, რადგან წარმოდგენა არ ჰქონდათ, ერთი შეხედვით, უპატიოსნესი მეოჯახე კაცი, კრიმინალში თუ იყო ჩართული. ისინიც, ვინც უბნის რწმუნებულს გადაეყრნენ, ოქროს საყიდლად (და არა ჩასაბარებლად) იყვნენ მისულები. ერთ-ერთს ცოლი მოჰყავდა და ოქრო ბეჭდისთვის სჭირდებოდა. საინტერესო იყო, რომ მათი ვიზიტი ზუსტად ემთხვეოდა ყაჩაღების მიერ დასახელებულ სამ საათს ანუ თავდამსხმელებმა იცოდნენ, რომ სამი საათის შემდეგ, სახლის პატრონთან ოქროს მყიდველები უნდა მისულიყვნენ, იცოდნენ ისიც, რომ მას უკვე ოქრო შინ ექნებოდა. დაკავებულები ამბობდნენ, იარაღზე ერთ-ერთს კი გაგვჭედავთ, მაგრამ არც გვიყაჩაღია და არც ოქრო მოგვიპარავს, რომ ჩაგვებარებინაო.

მათივე თქმით, არავისთვის ჰქონდათ ნათქვამი, რას აპირებდნენ იმ დღეს ანუ ინფორმაციამ სახლის პატრონისგან გაჟონა, მისი დაკითხვა კი შეუძლებელი გახლდათ.

სამაგიეროდ, ცოლის დაკითხვა შეიძლებოდა, მაგრამ ოქროს ხსენებაზე ქალი ისე გაოცდა, ვერ ითამაშებდა - არაფერი იცოდა ქმრის საქმიანობის შესახებ. სამაგიეროდ, თქვა, რომ მის ქმარს ძმა ჰყავდა, რომელიც ძალიან ხშირად სტუმრობდათ და შესაძლებელი იყო, სწორედ მას სცოდნოდა რამე.

ინჟინრის ძმა ახალგაზრდა, უცოლშვილო კაცი იყო, თუმცა ერთ-ერთ კვლევით ინსტიტუტში მუშაოდა და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მათი მამა მეცნიერი გახლდათ და შვილებიდან მის კვალს, სწორედ უმცროსი შვილი გაჰყვა, უფროსმა მარტივად დაამთავრა „გე-პე-ი“, ინჟინრად მოეწყო და, ერთი შეხედვით, მშვიდად ცხოვრობდა.

„ვიცი, რომ ჩემი ძმა მოპარული ოქროთი ვაჭრობდა. ეს ჩვენი ოჯახის სირცხვილია. ის მუდმივად იმეორებდა, მეცნიერებაში რა ყრია, ძალა ფულსა და ოქროშიაო. ბოლო დროს, ძალიან ბევრ ოქროს ყიდულობდა და ყიდდა, ამიტომ მოვუხშირე სიარულს და ვეუბნებოდი, რომ ეს ცუდად დასრულდებოდა. სამწუხაროდ, არ დამიჯერა და შედეგიც მივიღეთ“, - თქვა დაკითხვაზე ძმამ და ყაჩაღობის დროს საკუთარი ალიბიც დაადასტურა - კვლევით ინსტიტუტში, კოლეგასთან ერთად, მიკროსკოპში რაღაცას უტრიალებდა.

სამართალდამცავებს სხვა გზა აღარ ჰქონდათ. ერთადერთი იმედი ოქროს სხვა გადამყიდველები იყვნენ და სწორედ მათ ჩამოუარეს, ვინმე ოქროს თუ მიიტანდა, მაშინვე უნდა ეცნობებინათ. სამართალდამცავები ვერც იმას ხვდებოდნენ, როგორ გააღეს სახლის კარი თავდამსხმელებმა და რაც მთავარია, რატომ გარისკეს ასე, რაღაც ერთი ბეჭდის დასამზადებლად საკმარისი ოქროსთვის...

მესამე დღეს, ერთ-ერთმა გადამყიდველმა დარეკა და განაცხადა, რომ მასთან 300 გრამი ოქრო მიიტანეს და ფულზე მეორე დღეს მიაკითხავდნენ. რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა ჩასაფრება მოაწყვეს და ოქროს გამყიდველი მარტივად დააკავეს. დაკავებული კვლევითი ინსტიტუტის ის თანამშრომელი აღმოჩნდა, რომელიც დაზარალებულის ძმას მოწმედ მოჰყავდა, აქაოდა, სამსახურში ერთად ვიყავითო. ბუნებრივია, ძმის აყვანა დროის ფაქტორი გახლდათ.

„ჩემი ძმა მუდმივად დამცინოდა, შენ რა კაცი ხარ, თავი შიმშილისთვის გასწირე, უფულობის გამო, ცოლიც ვერ მოგიყვანიაო. თავად მოპარული ოქროთი ვაჭრობდა და ბევრი ფული ჰქონდა. მეუბნებოდა ხოლმე, შენთან იქნებიან ფულიანები, ოქრო აყიდინე და შენც იხეირებო. სახლის გასაღების ასლი ჩუმად გავაკეთე, შურისძიება მინდოდა, ერთ დღეს გავქურდავ-მეთქი, მაგრამ წამოსცდა, რომ ოქროს სხვაგან ინახავდა და შინ მხოლოდ მაშინ მოჰქონდა, როცა კლიენტი ჰყავდა. ამიტომ, ვუთხარი, ჩემს თანამშრომელს სჭირდება ბევრი ოქრო-მეთქი და შემითანხმდა, მოიყვანეო. ისიც მითხრა, სხვებიც უნდა მოვიდნენ და ან მანამდე მოდი, ან მაგათ მერეო და მივუგე, გვიან, სამსახურის შემდეგ მოვალ-მეთქი.

კარი გავაღეთ, შევედით, ძმისშვილი აბაზანაში ჩავკეტე და ჩემი ძმა თანამშრომელმა გათიშა. ცოტა მეტი მოუვიდა და მეგონა, მოკვდა, თუმცა სინანულიც კი არ მიგრძვნია. ოქრო მალე ვიპოვეთ, მაგრამ ეჭვი მქონდა, რომ დანარჩენი ოქროც შინ იქნებოდა და იქაურობა გადავაბრუნეთ, მაგრამ ვერ ვიპოვეთ“, - განაცხადა დაზარალებულის ძმამ.

მომავალ მეცნიერებს სასამართლომ 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ოქროს მოყვარულ დაზარალებულს კი 5 წელი ერგო.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩოხატაურში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის აბაშის რაიონულ სამმართველოსთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1999 წელს დაბადებული ბ.ღ., მუქარის გამოყენებით ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით, აბაშის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

დანაშაული 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, მიმდინარე წლის 25 აგვისტოს, დაბა ჩოხატაურში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე მდებარე ავტოგასამართ სადგურს ყაჩაღურად თავს დაესხა, იარაღის მუქარით ოპერატორს ფული გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ბ.ღ. საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ბრალდებულის სახით დააკავეს.

პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ყაჩაღობის შედეგად მოპოვებული ფულის ნაწილი და დანაშაულის ჩადენის იარაღი – პნევმატური პისტოლეტი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

მუქარის გამოყენებით ჩადენილ ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

საქართველოს სანაპირო დაცვამ შავ ზღვაში ფართომასშტაბიანი წვრთნები ჩაატარა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტმა შავ ზღვაში ფართომასშტაბიანი წვრთნები ჩაატარა, რომელშიც დანაყოფის 100-მდე მოსამსახურე, 3 სადარაჯო ხომალდი და 5 საპატრულო კატარღა მონაწილეობდა.

სწავლება მოიცავდა საზღვაო ტაქტიკურ მანევრებს (PASSEX) და მცურავი საშუალებების საშტატო სტაციონალური შეიარაღებიდან წყალზედა მიზნებზე სასწავლო სროლების შესრულებას.

საზღვაო წვრთნების მიზანს მცურავი საშუალებების კოორდინირებული მუშაობის დახვეწა, შეიარაღების სისტემების ტექნიკური შეფასება და სანაპირო დაცვის პირადი შემადგენლობის ტაქტიკური უნარ-ჩვევების გაუმჯობესება წარმოადგენს.

სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტი საზღვაო წვრთნებში რეგულარულად მონაწილეობს. 2021 წლის მანძილზე, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, ერთობლივი სწავლებები ჩატარდა NATO-ს წევრი ქვეყნების: ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და თურქეთის, ასევე, უკრაინის ხომალდებთან. მიმდინარე წელს, სანაპირო დაცვის ხომალდებმა მონაწილეობა მიიღეს უკრაინის ტერიტორიულ წყლებში გამართულ მრავალეროვნულ სწავლებაში – SEA BREEZE 2021 და ბულგარეთის ტერიტორიულ წყლებში ჩატარებულ საზღვაო სწავლებაში – BREEZE 2021.

სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამთო მომზადების ზაფხულის საბაზისო კურსი გაიარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამთო მომზადების ზაფხულის საბაზისო კურსი გაიარეს. სწავლება სამი კვირის განმავლობაში, საჩხერესა და ჭიათურაში მდებარე სასწავლო უბნებზე მიმდინარეობდა. სასწავლო კურსს თავდაცვის სამინისტროს პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლის ინსტრუქტორები უძღვებოდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სწავლების განმავლობაში შეისწავლეს: სამთო აღჭურვილობის შერჩევა, მისი მოხმარების წესები და ტექნიკური მონაცემები, გადაადგილება მთიან რელიეფზე უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით, დაშავებულის კოლექტიური გადარჩენისა და ევაკუაციის ორგანიზება, ასევე გაიარეს სამხედრო-ალპინისტური და სამთო-ტექნიკური მომზადება.

სწავლების მონაწილეებს სამთო მომზადების ზაფხულის საბაზისო კურსის წარმატებით დასრულება თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილემ, გენერალ-მაიორ ზაზა ჩხაიძემ, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორმა, ბრიგადის გენერალმა მამია ბალახაძემ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ, პოლიციის პოლკოვნიკმა ვასილ რევიშვილმა და სხვა ხელმძღვანელმა პირებმა მიულოცეს.

კურსდამთავრებულებს შესაბამისი სერტიფიკატები და სამკერდე ნიშნები გადაეცათ.

თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები, უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში, ერთობლივ სამთო კურსებს რეგულარულად ატარებენ.

პოლიციამ თბილისში გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული ნ.ქ. თბილისში დააკავეს. მას ბრალი გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ, ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებაში ედება.

დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 27 აგვისტოს, თბილისში, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ავტომობილით გადაადგილებისას, ქვეითად მყოფ ტრანსგენდერ ქალს, 1993 წელს დაბადებულ ჯ.ც.-ს, გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, პნევმატური იარაღიდან გასროლით ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება მიაყენა და მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ნ.ქ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ბრალდებულის სახით დააკავეს. ნივთმტკიცებად ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი – პნევმატური პისტოლეტი.

გენდერული იდენტობის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით დაიწყო.

პოლიციამ სვანეთსა და იმერეთში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია სამი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთისა და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სხვადასხვა დროს, მესტიის, სამტრედიისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში სამი პირი დააკავეს.

1989 წელს დაბადებული ნ. დ.-ს, 1975 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ ვ.კ.-სა და 1991 წელს დაბადებულ თ.ჩ.-ს ბრალი ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვასა და ტარებაში ედებათ.

დანაშაულები 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნივთმტკიცებად ამოღებულია „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი რევოლვერი, კალაშნიკოვის სისტემის ერთი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 10 საბრძოლო ვაზნა.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

საქართველო სამი შეხვედრისთვის ემზადება... ერთი კოსოვოა!

2, 5 და 8 სექტემბერს, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს სამი შეხვედრის გამართვა უწევს. პირველი მატჩი მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის შესარჩევში, კოსოვოსთან ბათუმში გვაქვს, მეორე შეხვედრას, იმავე ეგიდით, ესპანეთში, ადგილობრივ ნაკრებთან ვთამაშობთ, მესამე მატჩი კი ამხანაგურია – ბულგარეთს ვსტუმრობთ. ვილი სანიოლმა გუნდის შემადგენლობა უკვე დაასახელა და იძულებითი ცვლილების განხორციელებაც მოუხდა – ტრავმის გამო, ხვიჩა კავარცხელია ნაკრებს ვერ ეხმარება. ცოდვა გამხელილი სჯობს და იმასაც ამბობენ, ხვიჩა თავს უფრთხილდება, დღე-დღეზე, სოლიდურ გუნდში უნდა გადავიდეს და ტრავმის მიღების ალბათობას იმცირებსო. მით უმეტეს, რომ მოედანზე, ხვიჩა მეტოქეთა მცველების მთავარი სამიზნეა. ასეა თუ ისე, ეს შეხვედრები ეროვნულ გუნდს გამოცდილების გარდა ვერაფერს სძენს, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე გასვლის შანსი, პრაქტიკულად, აღარ გვაქვს და ამიტომ, ნამდვილად სჯობს, „კვარამ“ კარიერას მიხედოს, ნაკრებში თამაშს კი მომავალშიც მოასწრებს.

ადრეც ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ – კოსოვოსთან შეხვედრა საშაროა. ეს ქვეყანა საქართველოს აღიარებული არ ჰყავს და რუსული მედია უკვე წერს, რომ თუ საქართველო მათ ნაკრებს უმასპინძლებს და ჰიმნსაც დაუკრავს, ეს უკვე აღიარების ტოლფასია. რუსული მედია პარალელს სამაჩაბლოსა და აფხაზეთთან ავლებს... საინტერესოა, რომ კოსოვო არც ესპანეთს უღიარებია, თუმცა ესპანელებმა უმასპინძლეს და... 90 წუთის განმავლობაში, ესპანელი კომენტატორები კოსოვოს არა როგორც ქვეყანას, არამედ, როგორც შტატს მოიხსენიებდნენ. რას იზამენ ჩვენი კომენტატორები, ვერ გეტყვით, მაგრამ მთავრობის გადაწყვეტილებით, ბათუმში გასამართი შეხვედრა, კოვიდ-რეგულაციებიდან გამომდინარე, მაყურებლების გარეშე ჩაივლის და თუ მაინც უმაყურებლოდ ვთამაშობთ, გადავიტანოთ მატჩი ნეიტრალურ მოედანზე, მაგალითად, მეზობელ თურქეთში და ყველა პრობლემა ავტომატურად მოგვარდება.

ჭიკაძემ ისტორია გადაწერა

ქართველმა მებრძოლმა, გიგა ჭიკაძემ, UFC-ში მე-7 ბრძოლა გამართა და მე-7 გამარჯვება მოიპოვა. ჩვენებური ბრაზილიელ ედსონ ბარბოზას დაუპირისპირდა და მეტოქე მე-3 რაუნდში, ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა. ამ გამარჯვების შემდეგ, ექსპერტები ღიად ალაპარაკდნენ, რომ ჭიკაძე მებრძოლთა კლუბის ერთ-ერთ ლიდერად ყალიბდება და ჩემპიონობისთვის პრეტენზია აუცილებლად ექნება. ქართველ მებრძოლს რეიტინგში წინსვლა გარანტირებული აქვს და ძალიან დიდი ალბათობით, მისი მომდევნო მეტოქე დივიზიონის ტოპ 5-ის ერთ-ერთი წარმომადგენელი იქნება.

რაც შეეხება ჰონორარს. ჭიკაძემ, ქართველ მებრძოლთა შორის, ყველაზე დიდი თანხა გამოიმუშავა. 200 ათასი დოლარი – ერთი ბრძოლის სანაცვლოდ არცერთი ქართველისთვის არ მიუციათ, თუმცა ეს თანხა არაფერია იმასთან შედარებით, რაც მას იმ შემთხვევაში ექნება, თუ სატიტულო შეხვედრას გამართავს. ასეთ დროს, ჰონორარის ოდენობა 20 მილიონი დოლარიდან იწყება და თუ ასე გააგრძელებს, გიგა აქამდე აუცილებლად მივა.

მამარდაშვილი და 15 მილიონი ევრო

ესპანეთის პრიმერა-დივიზიონში მესამე ტური მიილია. „ვალენსიას“ რიგებში, სამივე შემთხვევაში, კარი გიორგი მამარდაშვილმა დაიცვა. ქართველმა მეკარემ მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა და ყველა თანხმდება, რომ ის ბურთი მისი ბრალი არ იყო. არადა, „ვალენსიას“ რიგებში იასპერ სილესენი ირჯება, რომელიც 15 მილიონი ევრო ღირს, მამარდაშვილი კი იჯარითაა აყვანილი და თუ „ღამურები“ მის დატოვებას გადაწყვეტენ, წლის ბოლოს, თბილისის „ლოკომოტივს“ მილიონ ევროს გადაუხდიან.

„ერთი შეხედვით, ნორმალურია, რომ „ვალენსიას“ კარს მამარდაშვილი იცავს. ის დამაჯერებელია, ახალგაზრდაა, საოცარი სეივები აქვს, მაგრამ მეორე მხრივ, „ვალენსიას“ არ აქვს ისეთი ფუფუნების შესაძლებლობა, 15 მილიონის ღირებულების მეკარე სათადარიგოთა სკამზე ჰყავდეს. თუ „ვალენსია“ გარისკავს და სილესენს გაყიდის, მთელი სიმძიმე სწორედ მამარდაშვილს დააწვება და გამოუცდელმა კიპერმა შეიძლება ვერ გაუძლოს, მაგრამ თუ სილესენს დაიტოვებს და კარში ჩააყენებს, გულშემატკივრები ვერ გაიგებენ, რატომ გადაინაცვლა მამარდაშვილმა სათადარიგოთა სკამდე. ის ხომ ქომაგთა ახალი გმირია, ნამდვილი გმირი“, – წერს ესპანური მედია.

ნამდვილად ვერ გეტყვით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს „ვალენსიას“ სამწვრთნელო შტაბი, მაგრამ ძირითადი შემადგენლობიდან ქართველის ამოსაგდებად მათ არანაირი მიზეზი არ აქვთ, გარდა... იმ 15 მილიონისა, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე, ჩვენებურის კონკურენტი, იასპერ სილესენი ღირს.

სამართალდამცავებმა საფრანგეთის ნაკრების ვიცე-კაპიტანი დააპატიმრეს

საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ვიცე-კაპიტანი, „მანჩესტერ სიტის“ მცველი, ბენჟამინ მენდი წლიურ გასამრჯელოდ 12 მილიონ გირვანქას იღებს და არა მარტო ინგლისში, არამედ, მთელ მსოფლიოში, ერთ-ერთ ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად ითვლება. ამას ხელი არ შეუშლია ინგლისელი სამართალდამცავებისთვის, რომ გასულ კვირას მენდი დაეპატიმრებინათ და წინასწარი პატიმრობაც შეეფარდებინათ. მომხდარი მეხის გავარდნას ჰგავდა – მას გაუპატიურების ოთხ ეპიზოდში ედება ბრალი და რაც მთავარია, ოთხივე ქალი პირზე ადგება.

დანაშაულები 2020 წლის ოქტომბრიდან 2021 წლის აგვისტოს პერიოდში მოხდა და თუ შეიძლება ითქვას, საბედნიეროდ, ოთიხვე დაზარალებული სრულწლოვანია ანუ მენდი 20 წელზე ზემოთ სასჯელს გადარჩა. ამის მიუხედავად, თუ მას ბრალი დაუმტკიცდება, ციხეში ყოფნა, მინიმუმ, 10 წლით მოუწევს, რაც წერტილს მხოლოდ მის კარიერას კი არა, ოჯახურ ცხოვრებასაც დაუსვამს. ფეხბურთელის ცოლმა უკვე თქვა, რომ თუ მის ქმარს გაამტყუნებენ, გაყრის პროცესს დაიწყებს და შეეცდება ისე მოაწყოს, სასამართლომ მენდის შვილების ნახვაც კი აუკრძალოს.

სკანდალი უკრაინულად

საქართველოს ეროვნული ნაკრების დარად, ოფიციალურ შეხვედრებს უკრაინის გუნდიც ატარებს. პრესკონფერენციაზე, ნაკრების თავკაცმა, ალექსანდრ პეტრაკოვმა ყველაფერზე ისაუბრა და ბოლოს ჰკითხეს, თუ რატომ არ იყვნენ ეროვნულ გუნდში, ძალიან კარგ ფორმაში მყოფი რუსეთში მოთამაშე უკრაინელი ლეგიონერები. პეტრაკოვი ჩაფიქრდა, შემდეგ კი...

„გესმით, მოცემული მომენტისთვის, გულწრფელად გეტყვით, მე რუსეთის ჩემპიონატიდან მოთამაშეთა მოწვევის საკითხს არ განვიხილავ და იცით, რატომ? ამას წინათ, რესტავრირებულ ანდრეევსკის ეკლესიაში შევედი, წმინდა სოფიას საკათედრო ტაძარი ვნახე. გვერდით კი მიხაილოვსკთან ფოტოებია. მე ვნახე, რამდენი ჩვენი სამხედრო დაიღუპა – გოგონებიცა და ახალგაზრდა ბიჭებიც, იმდენი გვარია, იმდენი სურათი. მივხვდი, რომ ახლა არც რუსეთიდან ფეხბურთელების გამოძახება, არც შერიგება აპრიორი არ შეიძლება. იქ იმდენი ბავშვი დარჩა, იმდენი ობოლი... ამიტომ არა, ახლა არა, არანაირად. შესაძლოა, დროის გასვლის შემდეგ... მაგრამ ამ მომენტში -არა“, – განაცხადა პეტრაკოვმა.

რუსულმა მედიამ ამ ამბავს მაშინვე კუდი მოაბა, პეტრაკოვი შუღლს აღვივებსო, თუმცა... უკრაინელი გულშემატკივარი თვლის, რომ ნაკრების მწვრთნელი სწორად იქცევა.

დიდი დაბრუნება – რონალდუმ „მანჩესტერის“ ფორმა მოირგო

გასულ კვირას მთავარი სატრანსფერო სიახლე კრიშტიანუ რონალდუს გარშემო ტრიალებდა. მას შემდეგ, რაც ლიონელ მესიმ გუნდი გამოიცვალა და „პარი სენ ჟერმენს“ მიაშურა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თანამედროვეობის კიდევ ერთი უდიდესი ფეხბურთელი, კრიშტიანუ რონალდუც აპირებდა გუნდის გამოცვლას და „იუვენტუსიდან“ აბარგებას. მის მომავალ ნავსაყუდელად „მანჩესტერ სიტი“ სახელდებოდა და პორტუგალიელიც მანჩესტერში ჩაფრინდა, თუმცა 2-წლიანი კონტრაქტი, „სიტის“ ნაცვლად, „იუნაიტედთან“ გააფორმა.

36 წლის ფეხბურთელი, ორ წელიწადში, 50 ათას ევროს მიიღებს, რაც ასაკის გათვალისწინებით, ზღაპრული ხელფასია. ესეც არ იყოს, „მანჩესტერი“ რონალდუსთვის კარგად ნაცნობი კლუბია. „წითელი ეშმაკების“ შემადგენლობაში ის 2003-09 წლებში გამოდიოდა, კლუბთან ერთად ყველა საკლუბო ტიტული მოიგო და 196 შეხვედრაში, მეტოქეთა კარი 84-ჯერ დალაშქრა.

როცა მესი ხარ

ფრანგულ „პარი სენ ჟერმენში“ ლიონელ მესის დებიუტი შედგა. ის „რეიმსთან“ სტუმრად გამართულ შეხვედრაში, მოედანზე, მეორე ტაიმის შუაწელს შევიდა. მართალია, ლეოს ბევრი არაფერი გაუკეთებია, თუმცა მისმა გუნდმა მატჩი 2:0 მარტივად მოიგო, შეხვედრის შემდეგ კი...

„როცა მესი დავინახე, ყველაფერი დამავიწყდა. რა მნიშვნელობა აქვს, რომ ის მეტოქე გუნდში თამაშობს, ის ხომ ლეო მესია“, – განაცხადა „რეიმსის“ მეკარემ და ნამატჩევს არგენტინელს სთხოვა, მის შვილთან სურათი გადაეღო, რაზეც ლეო დათანხმდა. კიპერმა 2 წლის შვილი ტბირუნებიდან ჩამოაყვანინა, მესის ხელში დააჭერინა, თავად კი ფოტოგრაფობა ითავა. ამ საქციელის გამო, მეკარე არც კლუბს და არც გულშემატკივარს არ გაუკრიტიკებია.

ხალხური პოეზია

***

მითხოს ალდი ჯობ მამაცად,
მშავლებს ჯობ კუკუმაური
თუშებსა – ლუის ლუხუმი,
გუდამაყრელთ – ბუბუნაური,
მოხევეთ – ღუდუშაური,
ხევსურებს – ხოშურაული.
ხმლის ქნევად, ფარის ფარებად –
მარტია მისურაული,
ამაგის გვერდის სადგომლად –
იმედა მინანაური.
ცხვარს ვინ მოზვერავს მითხოსა? –
ახალა შუქიაური,
ვინ ჩავას მოზვერულზედა? –
გამახელთ თემროზაული.
კაცსა ვინ მოხკლავს მითხოსა? –
ჩააცვეთს ბაბურაული.
ხუთ-ხუთს ვინ ჩახხოცს მარტოი? –
ძაღლიკა ხიმიკაური.
ვინ გაღმეტდების ლაშქართა? –
ღულელი არიშაული.

***

საბრალო დედაბრისასა
თაგვნი ყანასა მკიანო,
ლომნი უგრეხენ ულოსა
და ვეფხვნი შეუკვრიანო;
დევნი ურემსა უბიან,
ირემნი ძნასა ჰყრიანო,
შველნი კევრებში შებმულან,
კალოს გარს დარბენიანო;
ზედ ანგელოზნი უსხედან,
ტკბილ ხმაზედ დასძახიანო,
ჭინკები მარდად უქცევენ,
ყანასა გაჰფორცხიანო;
ტახნი მისწევენ კალოსა,
მელები კუდით ჰგვიანო,
წერონი ანიავებენ
და ბატნი დაჰკაზმიანო;
დათვებს ჰკიდიათ ტომრები,
ორმოში პურსა ჰყრიანო,
მგლები წისქვილში გაგზავნეს,
პურს მალე დაუფქვიანო;
შაშვი ფქვილს მტკიცავს, გნოლი ჰზელს,
კაჭკაჭნი ამოჰქნიანო,
მტრედნი ჩააკვრენ ლავაშსა
და გვრიტნი ამოჰყრიანო;
ვარიები ამზადებენ,
იხვნი სუფრასა შლიანო,
ზეცას ტოროლა გაგზავნეს,
სტუმრები მოჰკრიბიანო,
შენს მადლსა, ჩხიკვნი ნუ გვინდა,
სუფრასა აგვიშლიანო;
სილამაზითა ხოხობი
შუაში ჩაისვიანო,
ბულბული გალობისათვის
სულ თავსა დაისვიანო,
საწყალი ბერი ქედანი
ბოლოში მოიგდიანო,
ერთად სმენ, სჭამენ, ლხინობენ,
„ჰარალეს“ დასძახიანო.

ია

ნეტავი შენ, ენძელაო,
სამჯერ მოხვალ სერზედაო.
ერთხელ მოვალ, მოვშავდები
ამ დასაწვავ ხევზედაო,
ბიჭები ქუდზე მაჭკნობენ,
გოგოები – ყელზედაო.

***

ბატარიკა ქალაი ვარ,
ნუ მაღონებ, ცოდვა არი.
საიქიოს დაგტანჯავენ,
თუ სად სულის ყოფნა არი.

***

ათას უგულო მეომარს
გულადი ორი სჯობია.
არამ მწყერს, ხოხობ-კაკაბსა
ალალი ქორი სჯობია.

***

შაიყრებიან ყორნები,
არ გაირევენ ძერასა...
კაცი ვერსაით მაჰრჩება
თავის ბედსა და წერასა.

მოხევის სიმღერა

ქალს სილამაზე ხილადა
ვთხოვე – არ დამაძლევინა,
დავღონდი, წყალი მომწყურდა,
წვეთი არ დამალევინა.
მომხედა, თოლნი შემყარა,
ნაწინწკლებ წამაყრევინა,
დამრცხო, ავინთე, გავწითლდი,
თავი ძირს დამახრევინა.
სიტყვები გადამავიწყა,
ენა სულ ამარევინა.
არც მითხრა – მოდი, არც წადი,
არც თავი დამაღწევინა.
ტიალი, რაი ყოფილა,
თავბედი დამაწყევლინა.
დახე წყეულსა დიაცსა,
რა დღემდე მომაღწევინა.

ნეტავი, გოგო, შენი ხმა...

ნეტავი, გოგო, შენი ხმა
ავადმყოფს გამაგონაო.
ტუჩი ტუჩს დამადებინა,
ძუძუებს ჩამაკონაო.
მალ-მალე მოდი ჩემთანა,
შენც ობოლი ხარ, მეცაო,
უბეში ხელის ჩაყოფა
შენც გეამება, მეცაო.
ნეტავი, გოგო, მე და შენ
ერთადამც დაგვაწვინაო,
დაგვხურა ჩემი ნაბადი,
მაღლით დაუშვა წვიმაო.
ნეტავი, გოგო, მე და შენ
ერთმანეთს დაგვატოლაო,
რომელიც მეტი მოვიდეს,
მაკრატლით დაგვასწორაო.

***

მთაო, გადმიშვი, მაღალო,
რა ნისლი მოგიხვევია,
მთას იქით ჩემი ლამაზი
სხვას ვისმეს ჩაუხვევია.

***

ქალაუ, ისე თეთრი ხარ,
როგორც საყდარში კირიო,
სიზმარში მომაგონდები,
წამოვჯდები და ვტირიო,
შენი დანახვა მეწადა,
რად მომარიდე პირიო.

***

კალმახებს ბადე დავუგე,
ბაყაყი დავიჭირეო.
დილას მოსული ოცნება
საღამოს დავიტირეო.

არხვატს

არხვატო, ჩემო სამშობლო,
ჯიხვ-არწივების ბინაო,
მიამც კი შენს მტერს შამაკლა,
შენს მკერდზე დამაწვინაო!
მაკვდას, თუ მაკვდა ოშკაცი
არხვატის გულისთვინაო!
დედა ვაცხონე ვაჟისა,
ვინაც თავ მაიწყინაო!
მტერ დარჩა სისხლის მორევში,
თავიც კი იქ შასწირაო.
დაიმალების ცუდი ყმა,
მავშჩები, წაოლ შინაო.
გამაქცეულის მისვლასა
არმისვლაი სჯობ შინაო.
მაინც არ გასტყდა, არხვატო,
ბასრო ფოლადის რკინაო!

***

სულეთში ბეწვის ხიდია,
გასავალადა ძნელია,
ხიდ ქვეშა დუღან ქვაბები,
კუპრი გადმოდის ცხელია,
ოდნავი შუქიც არა ჩანს,
მუდამ ყურუმი ბნელია,
ბჭენი სხენ ხიდის ყურზედა,
რომელნიც მართლის მთქმელია,
ობოლთა შვილთა დამწირავს
დედას ჩაუსხდნენ გველნია,
სამან-სამზღვრისა ამრევსა
ზურგზე აჰკიდეს კლდენია,
ძმას ძმისა მოღალატესა
მოსდეს ცეცხლი და გენია,
ქალს ქმრისა შამცვლელს,
შამლანძღველს,
ორგულსა, მავნე ენიანს,
ჯანაბეთს, ჯოჯოხეთშია
თავიც ვერ აუწევნია.
ობოლთა შვილთა დამზრდელსა
შემოაგებნეს ცხენია,
დედ-მამის დამფასებელსა
ია და ვარდი ჰფენია. .

საწოლი-კუბო შექმნეს

კოლუმბიურმა კომპანია ABC Displays, შეიმუშავა საწოლი, რომელიც სულ ადვილად გარდაიქმნება კუბოდ. კორონავირუსის პანდემიის პერიოდში, ფირმა ასე ცდილობს, საავადმყოფოში საწოლებისა და კუბოების ნაკლებობის პრობლემა გადაჭრას. საწოლი მუყაოსგანაა დამზადებული, მას მეტალის საყრდენები და გვერდები აქვს. თუ პაციენტი გარდაიცვლება, მის ტრანსფორმაციას კუბოდ სულ ადვილად შეძლებენ. თითოეული საწოლი 330 გირვანქას იწონის და მისი ღირებულება 85 დოლარია.

ფსიქოლოგები გვირჩევენ: უყიდეთ ბიჭებს თოჯინები

მანქანების ნაცვლად, ბიჭები უპირატესობას თოჯინებს ანიჭებენ, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ დასავლეთ სიდნეის უნივერსიტეტის მკვლევარები. მათი აზრით, ეს იმის გამო ხდება, რომ ბავშვებს ადამიანების მსგავსი ობიექტები იზიდავთ და არა უსულო მანქანები. ეს დასკვნები სწავლულებმა სოციალური გამოკვლევის შედეგად დადეს. ისინი ოთხი-ხუთი თვის პატარებს უჩვენებდნენ ქალების, კაცების, ავტომობილებისა და თოჯინების ფოტოებს. აღმოჩნდა, რომ ყველაზე დიდხანს ბავშვები – ბიჭებიცა და გოგოებიც, თოჯინების ფოტოებით ინტერესდებოდნენ, ვიდრე მანქანების. აღმოჩნდა, რომ ეგრეთ წოდებული „გენდერული გადამრთველი“, რომელიც ბავშვებს ბიჭებად და გოგოებად ჰყოფს, არც მუცლადყოფნისას და არც ჩვილის დაბადებისას, არამედ, გაცილებით უფრო გვიან იწყებს მუშაობას. ახლა ფსიქოლოგები იმის გარკვევას შეეცდებიან, რა ასაკიდან ხდება ფსიქოლოგიური დაყოფა სქესობრივი ნიშნით და ახდენს თუ არა ამაზე გავლენას ბავშვის აღზრდა, თუ ეს მხოლოდ ბუნებრივად ხდება.

ცილა ცხიმების დაწვას უშლის ხელს

ტოკიოს უნივერსიტეტის მკვლევარებმა აღმოაჩინეს პროტეინი, რომელსაც კავშირი აქვს ორგანიზმში ცხიმების დაწვასთან. ამ აღმოჩენამ, შესაძლოა, მეცნიერები ახალი პრეპარატის შექმნამდე მიიყვანოს, რომელიც ზედმეტი წონის პრობლემების მქონე ადამიანებს დაეხმარება. იაპონელმა სწავლულებმა გენური ინჟინერიით გამოიყვანეს თაგვები, რომელთაც ცილების ჩვეულებრივი რაოდენობა კი არა, მათი ნახევარი ჰქონდათ. შემდეგ ამ მღრღნელებსა და კიდევ ერთ, საკონტროლო ჯგუფს ცხიმის მაღალი შემცველობის მქონე საკვებს აძლევდნენ. 4-თვიანი კვლევის შემდეგ, როცა მეცნიერებმა შედეგები შეადარეს, აღმოჩნდა, რომ გენეტიკურად შეცვლილმა თაგვებმა ცხიმოვანი მასის 10% დაკარგეს. იაპონელი მედიკოსები იმედოვნებენ, რომ შეძლებენ ჭარბი წონის პრობლემა ადამიანებშიც დაძლიონ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი გენეტიკურად არიან მიდრეკილნი სიმსუქნისაკენ.

სტაფილო სისხლს წმენდს

სისხლში ტოქსინების, მიკრობებისა და მძიმე მეტალების დაგროვება ორგანიზმს შიგნიდან ანგრევს. ამ მავნე ელემენტების გამოდევნას ხელს უწყობს სწორი კვება, – ამბობენ სპეციალისტები. ამ პროცესში პირველი მნიშვნელოვანი პროდუქტია სტაფილო: ის შეიცავს „ა“, „ბე“, „ცე“ და „კა“-ვიტამინებს, ასევე ცილა გლუტატინს, რომელიც შესანიშნავად წმენდს ღვიძლს და ეხმარება ორგანიზმს ტოქსინებისგან გათავისუფლებაში. სისხლის გაწმენდას ხელს უწყობს ვაშლიც, რომელიც პექტინს შეიცავს – ის მძიმე მეტალებისა და ქოლესტერინისგან წმენდს ორგანიზმს. სასარგებლოა გოგრაც, რადგან მასში გოგირდი და უამრავი ანტიოქსიდანტია.

შიმშილი აჭკვიანებს?

კაცობრიობის არსებობის მანძილზე, სწორედ შიმშილი იყო პროგრესის ძირითადი მამოძრავებელი ძალა. ჩვენი შორეული წინაპრები იძულებულები იყვნენ, აეთვისებინათ მეცხოველეობა და მიწათმოქმედება იმის ნაცვლად, რომ უბრალოდ შეეგროვებინათ საკვები, რაც კლიმატურ ცვლილებებზე იყო დამოკიდებული. შესაძლოა, ადამიანს განვითარების დღევანდელი დონისთვის ვერც მიეღწია, გამუდმებით შიმშილის გრძნობა რომ არ ჰქონოდა. ცოტა ხნის წინ, ჩვენს ევოლუციაზე შიმშილის გავლენის კიდევ ერთი მტკიცებულება მიიღეს – აღმოჩნდა, რომ შიმშილის გრძნობა ხელს უწყობს გონებრივ განვითარებას, ტვინში ახალი უჯრედების ზრდის ტემპის წყალობით. სწავლულებმა დაადგინეს, რომ გრელინი არა მხოლოდ შიმშილის ჰორმონია, რომელიც მადას გვიძლიერებს ჭამის წინ, არამედ, ხელს უწყობს ტვინში ახალი უჯრედების ზრდასაც. გარდა ამისა, ეს ჰორმონი უკვე არსებულ უჯრედებს იცავს დაბერებისგან.

ახალი ანტივირუსული პირბადე შექმნეს

ამერიკელმა სპეციალისტებმა ინდიანას უნივერსიტეტიდან, ახალი პირბადე შექმნეს ისეთი მასალისგან, რომელსაც დანოტივების შემთხვევაში, ელექტრონული ძაბვის გენერირება შეუძლია. სწავლულების თქმით, ბევრი ვირუსი ადამიანის სხეულს ელექტროსტატიკური ზემოქმედების შედეგად ეკრობა. ორგანიზმში შესაღწევად, ვირუსის სტრუქტურამ სტაბილურობა უნდა შეინარჩუნოს. ახალ პირბადესთან კონტაქტის შემდეგ, ეს სტრუქტურა იშლება, რაც უცხო ელემენტების კვდომას იწვევს. ამჟამად ახალი ნიმუშის ქსოვილი შესახვევ მასალად გამოიყენება. მკვლევარები ამბობენ, რომ ჯერ აშშ-ის სურსათისა და წამლის ადმინისტრაციის თანხმობას ელოდებიან, შემდეგ კი, კორონავირუსთან საბრძოლველად, ახალი ტიპის პირბადეს წარმოებაშიც ჩაუშვებენ.

ავოკადოს ჭამაში ფულს გადაუხდიან

შეუძლია თუ არა ავოკადოს ადამიანს ჭარბი წონის მოკლებაში დაეხმაროს? – ამის გარკვევა სურთ სწავლულებს ლინდის უნივერსიტეტიდან. ამჟამად სპეციალისტები მოხალისეებს ეძებენ, რომელთაც ექვსი თვის განმავლობაში, ყოველდღიურად, თითო ავოკადოს ჭამა მოუწევთ. მთლიანობაში, 1000 მონაწილეს შეარჩევენ. ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ, მათ 300-300 დოლარს გადაუხდიან და 24 ავოკადოსაც აჩუქებენ. იმის გამო, რომ ეს პოპულარული ხილი ყველაზე მეტი რაოდენობით შეიცავს ცხიმებს, ვიდრე სხვა, საეჭვოა, ადამიანს ზედმეტი წონის მოშორებაში დაეხმაროს. ამის მიუხედავად, სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ავოკადოს რეგულარული მოხმარება მაინც შეამცირებს მუცლის არეში ვისცერალური ცხიმების რაოდენობას.

სასმელი წყალი მალე გამოგველევა

მეცნიერთა მონაცემებით, 25 წლის შემდეგ, ყველაზე მდიდარ და განვითარებულ ქვეყნებშიც კი, სასმელი წყლის დეფიციტი იქნება. მისი მარაგი საკმარისი არაა, რათა მზარდი მოსახლეობის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. ასეთი შემაშფოთებელი მონაცემები გამოაქვეყნა წყლის რესურსების მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა. ერთი ადამიანის საკვებით უზრუნველსაყოფად, რომელსაც ინდუსტრიულად განვითრებული ქვეყნისთვის ტრადიციული რაციონი აქვს, ყოველდღიურად, 2500-3000 ლიტრი წყალი იხარჯება. უნდა ითქვას, რომ მტკნარი წყალი ამჟამადაც არ არის საკმარისი ყველასთვის. სასმელი წლის უკმარისობას, დაახლოებით, მილიარდი ადამიანი განიცდის, თანაც ინფექციურ დავადებათა 80%, სწორედ წყლის საშუალებით ვრცელდება. ურბანიზაციის პროცესის დაჩქარებითა და ცხოვრების დონის ამაღლებით, წყლის ხარისხის მიმართ მოთხოვნაც იზრდება. როგორც საერთაშორისო ინსტიტუტის წარმომადგენლები აცხადებენ, წყლის პრობლემის მოგვარება შეიძლება, მხოლოდ რამდენიმე სწრაფი გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო. კერძოდ, უნდა დაიწყოს წყლის საცავების მასობრივი მშენებლობები, უფრო აქტიურად უნდა გამოვიყენოთ წვიმის წყალი მოსარწყავად და მოსახლეობაც ნელ-ნელა ნაკლებად ტენისმოყვარულ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანაზე უნდა გადავიდეს.

კიბოს დიაგნოსტიკა წყლით?!

ესპანელმა სწავლულებმა ბარსელონას უნივერსიტეტიდან, წყლის მოლეკულა გამოიყენეს, რათა ონკოლოგიური დაავადება ადრეულ სტადიაზე გამოევლინათ. მკვლევარებმა ამისთვის Tn-ანტიგენების ორი სახეობა გამოიყენეს. ისინი სიმსივნის 90%-ის შემთხვევაში ვლინდებიან და ავთვისებიანი წარმონაქმნების ინდიკატორებად თვლიან. წყალთან ურთიერთქმედებისას, ეს ანტიგენები სხვადასხვანაირად მოიქცნენ. მათგან პირველი, რომელიც ტრეონინთანაა დაკავშირებული, წყლის მოლეკულის წყალობით, მკვრივ ფორმას იღებდა, მეორე სახეობა კი, რომელიც სერინს უკავშირდება, უფრო რბილი ხდებოდა. ამგვარად, ანტიგენების მოლეკულის ევოლუციის მიხედვით, შესაძლებელი ხდება ონკოლოგიური დაავადებების განვითარების ხარისხის დადგენა. სწავლულები კიბოს წინააღმდეგ ახალი თერაპიის შემუშავებას აპირებენ, რომლის დროსაც Tn-ანტიგენის სინთეტიკურ ანალოგს გამოიყენებენ.

შემწვარი კარტოფილი დეპრესიას იწვევს?

როგორც აღმოჩნდა, შემწვარი კარტოფილის მოხმარებამ, შესაძლოა, ღრმა დეპრესია გამოიწვიოს. ჰარვარდის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ადამიანის ფსიქიკისთვის ძალიან მძიმეა ნახშირწყლებით გაჯერებული საკვები. ამ „მავნებლების“ სიაში სწავლულებმა არ მხოლოდ შემწვარი კარტოფილი შეიტანეს, არამედ, ბევრისთვის საყვარელი პასტაც. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ის მანდილოსნები, რომელთა მენიუშიც ბევრი ნახშირწყლები და წითელი ხორცია, გაცილებით ხშირად ვარდებიან დეპრესიაში. კვლევებისას ექსპერტებმა დაამტკიცეს, რომ ასეთი მენიუს მიმდევარ ადამიანებს დეპრესია 40%-ით ხშირად ემართებათ. ამერიკელ სწავლულთა კვლევები 12 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, რომლის მონაწილეც, სხვადასხვა ასაკის, 43 ათასი ქალი იყო. ექსპერიმენტის დაწყებამდე არც ერთი მათგანი არ ჩავარდნილა დეპრესიაში – ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სუფთა მონაცემების მისაღებად. კვლევების ბოლოს აღმოჩნდა, რომ ნახშირწყლებით გაჯერებულ პროდუქტებსა და ღრმა დეპრესიას შორის კავშირი ნამდვილად არსებობს.

თხები – ეკოლოგიურად სუფთა „მუშა-ხელი“

ძალიან რთულია ეზო-კარის სუფთად და ჯანსაღად შენარჩუნება ისე, რომ ამით გარემოს ზიანი არ მიადგეს. მაგალითად, გაზონის გაკრეჭვას საწვავი სჭირდება, რომელიც ჰაერს წამლავს, სხვა ალტერნატივა პესტიციდებია, რომლებიც გაცილებით მეტ ზიანს იწვევენ, ვიდრე სარეველა ბალახები. სწორედ ამიტომ, ბოლო დროს, საკმაოდ პოპულარულია ბუნებრივი გზების მოძიება, მაგალითად, თხების გამოყენება, რაც უცხოეთში, საკმაოდ მიღებულ სერვისად ოქცა. ცხოველების დაქირავების მსურველი სერვისის მიმწოდებელ კომპანიაში რეკავს და თავის მიწას აღწერს, თუ რა ზომის ან როგორი რელიეფისაა. აწვდის ამ ინფორმაციას და სხვა, საჭირო მახასიათებლებს, რის მიხედვითაც, სერვისის მიმწოდებელი ვითარებას აფასებს და ფასს ასახელებს.

დათქმულ დღეს, თხები დანიშნულ ადგილას მიჰყავთ. ისინი იქ საღამომდე ბალახობენ. „სამუშაოს დასრულების“ შემდეგ, მათ უკან აბრუნებენ. სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, ცხოველები ერთ ადგილზე რამდენიმე დღის განმავლობაშიც „მუშაობენ“. ასეთ საქმიანობაში, ერთ ჯერზე, შესაძლოა, 100 თხა გამოიყენონ. ცხოველები ემსახურებიან ნებისმიერ კლიენტს, როგორც კერძო, ასევე, საჯარო სექტორის წარმომადგენლებსაც. მაგალითად, კანადის ქალაქ ედმონტონში, სადაც ჰერბიციდების გამოყენება აკრძალულია, ბალახების გასანადგურებლად, სწორედ ასეთი გზა გამონახეს. ქალაქის ადმინისტრაციამ „საქმეში“ 400-ზე მეტი თხა ჩართო.

ტარაკნების მოშენება – სარფიანი ბიზნესი

ქალაქ სიჩანში მდებარე ჩინურ ფარმაცევტულ კომპანიას, ყოველწლიურად, 6 მილიარდზე მეტი ტარაკანი გამოყავს. ისინი, რომლებიც ამ მწერებს ვერ იტანენ, გაოგნებულები არიან ამ ფაქტით, არადა, ტარაკნების მოშენება, თურმე, სარფიანი ბიზნესია, განსაკუთრებით ჩინეთში, სადაც ადამიანებს სჯერათ, რომ ამ მწერებს სარგებელი მოაქვთ მათი ჯანმრთელობისთვის. ტარაკნებისთვის უზარმაზარი, ორი საფეხბურთო მინდვრის ზომის შენობას იყენებენ. შიგნით თაროებია განლაგებული – საჭმლითა და წყლით. არის საჭირო ტემპერატურა, მაღალი ტენიანობა და სუსტი განათება. აქ ტარაკნები თავს თავისუფლად გრძნობენ და სწრაფად მრავლდებიან. მათი სამყოფელი სმარტ-ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი. უკვე მოზრდილ მწერებს ტრადიციული სამედიცინო ნაყენისთვის – „კანფუსუნისთვის“ იყენებენ. მას კუჭ-ნაწლავისა და ფილტვების პათოლოგიებისას იღებენ. ის განსაკუთრებით „უყვართ“ ხანდაზმულებს და რაც მთავარია, საკმაოდ იაფი ღირს.

რობოტი-ჰუმანოიდი „ტესლასგან“



კომპანია „ტესლას“ გენერალურმა დირექტორმა, ილონ მასკმა განაცხადა, რომ ისინი რობოტი-ჰუმანოიდის შექმნაზე მუშაობენ, რომელსაც Tesla Bot ერქმევა – მისი პირველი პროტოტიპი უკვე მომავალი წლისთვის იქნება მზად. როგორც მასკი ამბობს, რობოტი რუტინულ სამუშაოებს შეასრულებს. Tesla Bot-ის სიმაღლე 170 სანტიმეტრზე ცოტა მეტი იქნება, წონა – 57 კილოგრამი. სახის ნაცვლად კი ეკრანი ექნება. რობოტს გადაადგილება საათში 8 კილომეტრის სიჩქარით შეეძლება. კომპანიის თანამშრომლები „ჭკვიანი მანქანის“ პროტოტიპს „ოპტიმუსს“ ეძახიან. მას საფუძვლად იგივე გადამცემები უდევს, რაც „ტესლას“ ავტონომიური მართვის ავტომობილებს და კომპიუტერ Dojo-ს. ასე რომ, რობოტსაც შეეძლება სივრცეში დამოუკიდებლად ორიენტირება. ილონ მასკის თქმით, რობოტი-ჰუმანოიდი შეიძლება გამოიყენოთ რუტინული ან საფრთხის შემცველი სამუშაოსთვის, რომლის შესრულებაც ადამიანებს, ჩვეულებრივ, არ უნდათ ხოლმე.

გასაბერი ელექტროსკუტერი შექმნეს

გამომგონებლებმა ტოკიოს უნივერსიტეტიდან, გასაბერი ელექტროსკუტერის მოდელი წარადგინეს, რომელიც ექსპლოატაციისას, მეტად კომპაქტური და უსაფრთხოა. გამოგონების ავტორებს მის შექმნაზე ვირუსის გამო დაწესებულმა კარანტინმა უბიძგა. ამ პერიოდში აკრძალული იყო დიდი ტრანსპორტით გადაადგილება და აქტუალური გახდა კომპაქტური საშუალებები: ველოსიპედები და სკუტერები. ახალი ელექტროსკუტერი – Poimo ისეა შექმნილი, რომ მისი ჩატევა ზურგჩანთაშიც შეიძლება. საჭიროების შემთხვევაში კი, ელექტრონასოსის მეშვეობით, ის სულ ორ წუთზე ნაკლებ დროში იბერება. მისი წონა 5.5 კილოგრამია, თუმცა ავტორები ახლა მუშაობენ, რომ წონა კიდევ უფრო შეამსუბუქონ. გამოგონების მინუსად ითვლება ის, რომ გასაბერი ელექტროსკუტერი ჯერჯერობით მხოლოდ მოკლე მანძილებისთვის არის გამოსადეგი. აკუმულატორის ერთი დამუხტვა მხოლოდ 1.6 კილომეტრის გავლას ჰყოფნის.

დედის რძე ლაბორატორიიდან

ამერიკულმა კომპანიამ BIOMILQ, განაცხადა, რომ პირველებმა მიიღეს დედის რძე სარძევე ჯირკვლებიდან, რომელიც ლაბორატორიაში იყო გამოყვანილი. ანალოგი, პრაქტიკულად, ყველა სასარგებლო ცილებისა და მიკროელემენტის ნაკრებს შეიცავს, რაც ორიგინალს აქვს. ამასთან, მასში არ არის ტოქსინები დაბინძურებული გარემოდან, ალერგენები და პრეპარატების კვალი, რომელსაც ხშირად აღმოაჩენენ ხოლმე დედის რძეში.

„ანტისხეულების გარეშეც კი, ჩვენი პროდუქტის ბიოაქტიური შემადგენლობა უფრო მეტად ახლოსაა დედის რძესთან, ვიდრე იმ რძის ფხვნილებთან, რომლითაც ჩვილებს კვებავენ. ის ხელს შეუწყობს იმუნური სისტემისა და მიკრობიომის განვითარებას, ნაწლავებისა და ტვინის განვითარებას. ძროხის რძეზე დამზადებულ საკვებს კი ამის გაკეთება არ შეუძლია“, – აცხადებენ კომპანიაში.

ბავშვთა კვების ტრადიციული პროცესისგან განსხვავებით, „რძის გამოყვანა“ გაცილებით ეკოლოგიური და ბევრად უსაფრთხო პროცესია.

ტანსაცმელი უსახლკაროებისთვის

ბრიტანულმა სტარტაპმა Unhoused, სიახლე წარადგინა – ეს პირველი ჯემპრია, რომელიც ჭუჭყს არ იკარებს. ის სპეციალური ნანომასალისგან შეკერეს, რომელიც არ იწოვს ოფლს, სუნებსა და ჭუჭყს, მასზე არ რჩება ღვინისა და ყავის ლაქები. დიზაინერების თქმით, ახალი ტანსაცმელი კარგად ათბობს და განსაკუთრებით იმ ადამიანებს გამოადგებათ, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ – სწორედ მათთვის შეიქმნა ეს ჯემპრი. თუკი სტარტაპის საიტზე ვინმე შეიძენს მას, პროექტის ავტორები, ზუსტად ასეთივეს ერთ-ერთ უსახლკაროს გადასცემენ. ჯემპრის ღირებულება 70 გირვანქა სტერლინგია.

ვაქცინამ გამოქვაბულშიც შეაღწია

დაახლოებით 20 წლის წინ ანუ ბევრად ადრე, ვიდრე მსოფლიოში კოვიდრეგულაციები დაწესდებოდა, სერბმა მამაკაცმა, პანტა პეტროვიჩმა სოციალური დისტანცირება გადაწყვიტა და ერთ-ერთ გამოქვაბულში გადასახლდა. გასულ წელს, როდესაც გრძელ წვერსა და დრედებში გამოწყობილი პეტროვიჩი ქალაქს ესტუმრა, გაიგო, რომ მსოფლიოში პანდემია მძვინვარებს. ცოტა ხნის წინ კი, როცა კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა ხელმისაწვდომი გახდა, ის დაუფიქრებლად აიცრა და სხვებსაც იგივე მოუწოდა. „ვირუსმა გარჩევა არ იცის, ის ჩემს გამოქვაბულამდეც მოაღწევს“, – ამბობს 70 წლის კაცი ერთ-ერთ ინტერვიუში. არადა, პეტროვიჩის „ბინა“ არც ისე ადვილად მისასვლელია, იქ მოსახვედრად, კლდეზე ცოცვაა საჭირო. ადრე, პეტროვიჩი უცხოეთში მუშაობდა. რამდენჯერმე დაქორწინებულიც იყო. მოგვიანებით, ბუნების სიყვარულმა საზოგადოებისგან იზოლირებისკენ უბიძგა. „ასე არნახული თავისუფლება ვიგემე“, – ამბობს განდეგილი მამაკაცი. უცხოეთში ნაშოვნი ფული პეტროვიჩმა ქალაქში სამი პატარა ხიდის მშენებლობას შესწირა.

ჰოთდოგი სიცოცხლეს გვიმოკლებს

ამერიკელმა სწავლულებმა მიჩიგანის უნივერსიტეტიდან, ჯანსაღი კვების სპეციალური ინდექსი შექმნეს, რომლითაც ორგანიზმისთვის „სასარგებლო“ და „მავნე“ დატვირთვის რაოდენობის დათვლაა შესაძლებელი. ამის გათვალისწინებით, მკვლევარებმა 5800-ზე მეტი პროდუქტი შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ ყოველი შეჭმული ჰოთდოგი, სიცოცხლეს 36 წუთით გვიმოკლებს, კაკლის ერთი ულუფა კი პირიქით – 26 წუთით გვიხანგრძლივებს. ასევე, ხორცის ხშირად ჩანაცვლება ხილით, ბოსტნეულით, პარკოსნებითა და ზღვის პროდუქტებით, ყოველდღიურად, სიცოცხლეს 48 წუთით გაგვიხანგრძლივებს.

ოცნების სამსახური „ტაკოს“ მოყვარულებისთვის

სანელებლების კომპანია McCormick & Company, გამოცხადებულ ვაკანსიაზე შერჩეულ კანდიდატს, 4-თვიანი სამსახურის სანაცვლოდ, 100 ათას დოლარს გადაუხდის. მთავარი პირობა ის არის, რომ კანდიდატს ძალიან უნდა უყვარდეს მექსიკური „ტაკო“ და კომპანიას ახალი სანელებლების აღმოჩენაში დაეხმაროს, რომელიც სწორედ ამ კერძისთვის იქნება განკუთვნილი. სამსახურის მიღების შემთხვევაში, კანდიდატი სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით „იმუშავებს“, მოივლის მთელ ამერიკას და ახალ-ახალ გემოებს აღმოაჩენს. სანაცვლოდ, მისი ყოველთვიური ანაზღაურება 25 ათასი დოლარი იქნება.

კორიდა ხარების სახელების გამო გააუქმეს

ესპანეთის ქალაქ ხიხონში, ადგილობრივმა ხელისუფლებამ კორიდა იმ მიზეზით გააუქმა, რომ ბრძოლაში მონაწილე ხარებს „დაუშვებელი“ სახელები – „ფემინისტი“ და „ნიგერიელი“ ერქვათ. შესაბამისი გადაწყვეტილება ქალაქის მერმა, სოციალისტმა ანა გონსალესმა მიიღო. მისი თქმით, მერია არ მოითმენს მსგავს სახელებს, რადგან ჩვენს ქალაქში კარგად ესმით გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა, ნებისმიერ ეროვნებას პატივს ვცემთ და ხელს ვუწყობთ ინტეგრაციაშიო. ოპოზიციურმა სახალხო პარტიამ ქალბატონი მერის ეს გადაწყვეტილება გააპროტესტა – გონსალესი თავს სასაცილოდ იგდებსო და ხელმოწერების შეგროვება დაიწყო ხელისუფლების მიერ მიღებული განკარგულების გასაუქმებლად.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.